

# ლიტერატურული მესხეთი

№6 (210)  
ივნისი  
2016 წელი  
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთვრამეტე წელი

“LITERATURULI MESKHETI”

“ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

„იმ დღეს ვლოყავით, როცა ამოშრწყინდით,  
ყვილა მზისი ყფროსი ყშრწყინვადღისი“!

## ვინ დაიხურავს ქუდს, რომელიც დატოვა შოთამ

### ვასილ გვებაძე

მე ვუცქერ, მხრებზე როგორ ადგას  
სხივი და მტვერი  
ფრთიანი ქუდით შავ ტაიჭზე  
შემართულ მხედარს.  
გამიჯნურებულ და განდგომილ  
რუსთაველს ვხედავ –  
მულღანზანზარის ველზე მიდის,  
და მღერის, მღერის.

ვარსკვლავით ნაჭედ ცისქვეშ მიდის  
და ნელა, ნელა  
ემვება ბინდი და გარშემო  
ბნელდება ბოლოს  
და სიბნელეში რუსთაველის ხმა  
ისმის აქ მხოლოდ,  
ქართლის მინდვრებს რომ  
გააგონა უკანასკნელად.

ბევრი არგუნე,  
საწუთროო, შებინდბუნდება,  
სწორი და მრუდე ვინ აწონა  
უფსკრულის პირთან.  
რაა ეს კაცი, რომ ყველაფერს იკრებს  
და ირთავს!  
რას მისცა ძალა, რვაას წელს რომ  
აღარ დუმდება!

თუმც არ მოაკლო სოფლის ბრუნვამ  
ნაღველი პწკარებს,  
ვერ წარმოვიდგენ დაბერებულს და  
წელში მოხრილს...  
დასდის ცრემლები ველად გაჭრილ  
ტარიელს ოხვრით,  
სათნო უსტარი ნესტანისა  
გვატირებს მწარედ.

და ტირის, ტირის უცხო მოყმე,  
წყლის პირას მჯდარი,  
ზვირთში ნესტანი ეჩვენება  
ნაღველიან თვალებს.

ბინდი დაეცა ბოლო სხივით  
შეფერილ ჭალებს  
და ბინდში შავად ჩაიხაზა  
ქაჯეთის კარი.

თვლემენ კოშკები და კედლები  
სინესტით დალბა  
და მთებში დღემდე მიუგნები  
ბევრი განძია.  
მესხეთს, ძველ მესხეთს, დანგრეულ  
თმოგვს, მდუმარ ვარძიას,  
ახსოვთ რაინდი და ჭაბუკი  
პოეტი ალბათ.

ვარძიის კლდეზე გადადიან  
ღრუბლები მძიმედ  
და ლოდებს დაჰკრავთ ფერი მწუხრის  
და ფერი ნაცრის,  
ახლა გარშემო სირუშეა ცივი და მკაცრი,  
ჩამქრალ თვალივით იხედება  
მალლიდან მღვიმე.

იმ სიმაღლიდან იცქირება სხვა იმედებით,  
ვინცა თქვა სოფლის სამდურავი,  
კარგი თუ ცუდი,  
წვეტიან თხემზე დარჩენია  
რუსთაველს ქუდი  
და ამ ქუდს დღემდე იხურავენ  
ქართლის ქედები.

და მხოლოდ ფიქრი, ერთი ფიქრი,  
ქვეყანავ ჩემო,  
განუხებს დღემდე და გაჰყურებ  
მომავალ დროთა:  
ვინ დაიხურავს ქუდს, რომელიც  
დატოვა შოთამ  
ყველაზე მაღალ და მიუვალ  
მწვერვალებს ზემოთ.

გიორგი ლეონიძე

„ბე,

ღმერთო ერთო,

შენ შეპქქენ

სახე ყოვლისა ცხანისა,

შენ ლამიფარე,

ძლევა შეუ

ღათრგუნვად შე საცანისა,

მოძეკ მიფუნურთა სურვილი,

სიკვდიმდე გასაგანისა,

კოდვათა შემსუბუქება,

მუნ თანა წასაგანისა“.



„სულმნათო, მაღლი შენს გამხენს,  
დიდება ერსა, შენს მშობელს“.

აყაყი



გელა კლანი

ფანჯრის რაფაზე ფეხმოკეცილი იჯდა. ახალდაბნული, ვრცელი, ხორბლისფერი თმა გაეშალა და საფარცხლით იწინედა. წყლის ნვეთებმა მხრები დაუნინკლა. ფანჯარა მიხურა. ოთახში საოცარი სურნელი ტრიალებდა. სისუფთავის, ახალმოსული თოვლის თუ რაღაც მრავალფერა ყვავილის, მხოლოდ მალაღობაში რომ ხარობს, ეგებ ნაწილობრივ მდგომარეობაში თუ ახალმოსული მწვანე ბალახის, ან ხის ძირებზე მოდებული ხავერდის მსგავსი ხავერდისა.

ცოტა ხანში გოგონას სიმყუდროვის შეგრძნება გაუქრა. მოლოდინის საშინელმა გრძობამ შეიპყრო და შეკრთა. მოუთმენლობამ მოიცვა მისი სასვე გული და გასცდა გრძობის ბუდეებს. უთქმელობა სტანჯავდა. მოკეცილი ფეხები გაშალა, ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა, მყარად დაკეტილი ფანჯარა ისევ ფართოდ გააღო და ნიავი შემოუშვა. თითქოს თავის ფეხებს სრული თავისუფლება მისცა. მოგონებებიდან თავის დაღწევის სურვილმა შეიპყრო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას არც ფანჯრის გაღება უშველიდა და არც დახურვა.

ამასობაში, ისიც გამოჩნდა, - მისი მღვღანისა და მოუსვენრობის მიზეზი. მაღალი სართულის ფანჯარიდან გარკვევით დაინახა ახალგაზრდა მამაკაცის ლამაზი სხეული. ყვითლად შეფოთილი ხის ტოტებიც კი ხელს არ უშლიდნენ. მათი შრილის მიუხედავად, თითქოს, ესმოდა ყმანების საპასუხო ჩურჩულიც კი. შებენს ოხერა აღმოხდა: - როგორც იქნა, ის აქ არის, სულ რამდენიმე მეტრში. და, გაუბედავად ბუტბუტებდა - მოხედე, საყვარელო, გამარჯობა.

დან გარკვევით დაინახა ახალგაზრდა მამაკაცის ლამაზი სხეული. ყვითლად შეფოთილი ხის ტოტებიც კი ხელს არ უშლიდნენ. მათი შრილის მიუხედავად, თითქოს, ესმოდა ყმანების საპასუხო ჩურჩულიც კი. შებენს ოხერა აღმოხდა: - როგორც იქნა, ის აქ არის, სულ რამდენიმე მეტრში. და, გაუბედავად ბუტბუტებდა - მოხედე, საყვარელო, გამარჯობა.

გამტყრებით აკვირდებოდა. ნათლად ხედავდა ყმანების სათნო სახეს დაუარა. შეგრძნებებს იახლებდა და აჭიანურებდა მისებურ მისალმებას.



და მის გაფაციცებულ, მომოლოდინე მზერას. გარკვევით ეტყობოდა, რომ ისიც ელოდა გოგონას. ურუანტელმა

დაუარა. შეგრძნებებს იახლებდა და აჭიანურებდა მისებურ მისალმებას. ვერ იგერიებდა ანცობის სურვილს. სარკის ნატეხი აიღო და მზეს მიუშვირა. მერე კი, აციაგებული მზის ანარეკლი აცეკვდა, აციმციმდა, პატარა ბურთულად გადაიქცა. იქ, გარეთ, სასწავლებლის ზღურბლთან, განმარტოვებით მდგარი ონისე თითქოს ელოდა ამ სხივის გამოჩენას. სახეზე ღიმილი გამოეხატა. ეტყობოდა, ის იმდენ ხანს დაიცვლიდა ამ ათინათის მოლოდინ

უწყევლო პაემანი ორივესთვის სასიყვარულო თავგადასავლად გადაიქცა. სამხედრო სასწავლებელი, სადაც ონისე სწავლობდა, ახალი გახსნილი იყო და ორ წელიწადში პირველ ნაკადს უნდა დაემთავრებინა. გოგონამ არ იცოდა, როგორ გაეცნო ვაჟი. მათ საერთო ნაცნობიც კი არ ჰყავდათ. ნათიამ მისი სახელიც არ იცოდა. კოხტად, სამხედრო ფარავანში გამოჩენილი ონისე მართლაც მომზიზვლი იყო. პირველად შემთხვევით შეეფეთ

წინ ერთმანეთს. მას შემდეგ ნათია ფანჯრიდან ათვალიერებდა სასწავლებლის ეზოს და თვალებით ეძებდა ვაჟს. მერე კიდევ შენიშნა. არავინ იცის, საიდან მოიფიქრა სარკის პატარა ნატეხის და მზის დახმარებით მიენვივნა მისთვის სინათლის გზავნილი, რომელიც ყმანებს აღუწყებდა, რომ ის უყვართ. თანდათან ონისეც მიეჩვია ამ ათინათებს. ასე ეგონა, მხოლოდ ის ამჩნევდა მათ ელვარებას და სიცვლეკს, არადა, უკვე მთელი სასწავლებელი საუბრობდა, რომ გოგონა, რომელიც ბოლო სართულიდან ონისეს ასე უცნაურად ახსენებდა საკუთარ თავს, ნათია იყო.

ნათიას ფანჯარა სასწავლებლის ეზოს გადასცქეროდა. გოგონა სხეულზე დაეჩვია ასვლას, პატარა ძველმანებით სავსე ოთახი, ფართოდ გადმოწეული ფანჯრის რაფა და სარკის პატარა ნატეხი მისი

ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. იქ ეძებდა ნათია განმარტოებით ონისესთან შეხვედრის სიხარულს. ეს ში, მანამ ციმციმა მოესალმუნებოდა სახეზე, დაუბრუნდა სხეულზე, მიეღერებოდა თმაში. იდგებოდა მანამ, სანამ არ იპოვიდა კუთვნილ სხივს, მონატრებულ ციაცს, თვალს რომ ატკივდა, სჭრიდა, სახეს რომ უწვავდა, და მაინც, თავდავინყებამდე უყვარდა.

თანდათან მზე დასუსტდა. ზამთრის სუსხი მთელია მის ბრწყინვალეებს. ნათია ამაოდ აწვავდა სარკეს, მისი გზავნილი ვერ მიდიოდა ონისემდე. ვაჟიც წვალობდა, ხანდახან ლექციებსაც არ ესწრებოდა და გარეთ ელოდებოდა სხივს. ეს სხივი კი არ ჩანდა. ონისე ვერ ბედავდა, ასულიყო და ემოვა გოგონა. ეშინოდა, რომ დაუბატონებულ, არასასურველ სტუმრად არ ეცეულიყო.

საე გავიდა დრო. გაზაფხულმა ისევ მოიყვანა ათინათი...

ერთხელაც, სასწავლებლის ეზოში, ერთმანეთის პირისპირ იდგნენ გოგონა და ვაჟი. ნათიამ გაბედა და დათმო თავისი უპირატესობა. ფეხრისა და ნერვიულობის შემდეგ, როგორც იქნა, გამოეცხადა ონისეს. ლოყები ვარდისფრად შეფაცოვდა. აღმურმოდებული უძრავად იდგა და დუმდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაიღიმა, სარკე ამოიღო და მიანათა. სარკის დანახვაზე ვაჟი შეკრთა. უცებ სადღაც გაქრა მისი სიამაღაცე და სითამამე. მხოლოდ თვალები გასცემდა მის გრძობას. ის საოცრად უკაშკაშებდა. ცოტა ხანი იდგა გაოგნებული და გოგონას ინტერესით ათვალიერებდა... მას სახეზე ერთდროულად რამდენიმე კითხვა და ემოცია დაეწერა: ნუთუ, ეს შენ ხარ, ჩემო სიყვარულის სხივი? რა ლამაზი ყოფილხარ?

ონისემ ნათიას სიყვარულის სხივს თავისი შეაგება. ახლა ნებადართულად პოულობდა გოგონას სარკემდ და პირველი აღვიძებდა საკუთარი სხივით. ამ ფანჯარასთან ყოველთვის ბევრი მტრედი გროვდებოდა. თითქოს, ისინიც ელოდნენ სინათლის გამოჩენას. ფანჯარა, საიდანაც სითბო, სიყვარული, ინტერესი და ოცნება იღვრებოდა, ახლა მუდმივად იყო ორი სხივის გადაკვეთის მოლოდინში. მათი ცვლელი სხივები ერთმანეთს ჰყვარობდნენ, ციმციმდნენ და ირეოდნენ. მათ მაგივრად მზე საუბრობდა. მზე გვემავდა მათ შეხვედრებს, შემდეგ კი მათი შეუღლება ცეცხლი გაკავა.

მათ საკორილო ბეჭდები გაცვალეს. ცოტა ხნის შემდეგ სამახსოვრო სარკის ნატეხებიც, რომელთაც მათი ცხოვრება შეცვალეს. გაზაფხულის მზე ძალებს იკრებდა. წინ დიდი ზაფხული ელოდა...

უცნაური პაემანი

ჯადოსნური ბეჭედი

როგორ დაისაჯა მძარცველი

ერთხელ, ორი ყაჩაღი თავს დაესხა ერთ პატიოსან გლეხკაცს და ყველაფერი წაართვეს, რაც კი გააჩნდა - ცხვარი, ძროხა, ხარ-კამეჩი, ქათამბატები კი... ყაჩაღებს მხოლოდ ერთი ჯანდავი ცხვარი გადაურჩათ, ისიც, იმ ალიაქოთში, შემინებული დარანში შემძვრალიყო. მოძალადეთა ნასვლის შემდეგ ისევ უკან გამოიმტვრელა და დაცარიელებულ ეზოს საცოდავი ბლაკილით აყრუებდა.

ერთადერთი ძალი კი, ასე ერთგულად რომ ემსახურებოდა იმ გლეხკაცს, თავისი ნებით და კუდის ლაქუციით, გაპყოლია მოძალადეებს.

გაუბედურებელი გლეხი სიმწრით თავს ახლიდა დედაბოძს, არ იცოდა, რა ექნა, როგორ ერჩინა ცოლ-შვილი. სამაგიეროდ, ყაჩაღებს ღვიძელი დადგომოდით, ასე უწვავდებოდა, ოფლისა და სისხლის დაუღვრელად, ამდენ ქონებას რომ დაეპატრონნენ.

მაგრამ, დახე თეგის ირონიას: ნაძარცვის გაყოფის დროს, ყველაფერი მძურად გაყვეს ყაჩაღებმა, გარდა იმ ბეჭედისა, რომელიც გლეხს. ხენის დროს, გუთნის კვალში, გატეხილ ქილაში ეპოვა. ამ ბეჭედს გლეხი ისე მოუჯადოებია, როგორც ხატს, მიუხედავად დიდი ძირვარამისა, ის გასაყიდად ვერ გაუშვებია, თურმე.

- ჩემია, ეს ბეჭედი! - ილრიალა შავნვერა ყაჩაღმა და მენილეს ჩასისხლიანებული თვალებით შეუტია. - არა, ჩემია! - უკან არ დაიხია მეორემ და ჯიქურ წამოეფოფრა. - ნილი ვყაროთ, - თქვა პირველმა. - როგორ? - კამათელი გავაგოროთ! - ესე არ იქნება, ამით ერთ-ერთი ჩვენთავანი ხელცარიელი დარჩება. - მაშინ ცალკე ეს ქონება და ცალკე ბეჭედი! - არა, ბეჭედი უფრო ძვირია, ვიდრე გლეხის მთელი ქონება, - არ დათმო მეორემ. - მაშინ, ბეჭედი შუაზე გავჭრათ, ნახე-

ვარი შენ და ნახევარი მე! - ბეჭედის შუაზე გავჭრა სად გავინილა, ეს ბეჭედი თავის დანიშნულებას დაკარგავს. - მაშინ ვაყიდიოთ, - გზა გამოძებნა პირველმა ყაჩაღმა. - რა ფასად?!

დაგანებებ! - აი, თუ შენ გეკუთვნის, მიიღე! იმ წამს შავნვერას მოქნულმა ხანჯალმა და დამბაჩის გასროლის ხმამ გადამწყვიტა ბეჭედის ბედი. არც ერთ სულიერს არ დაუნახავს ყაჩაღთა ანგარიშსწორების ტრაგიკული



- ასი ოქრო მაინც ეღირება! - ასი ოქრო არა, ეს ცოტაა. ხომ ხედავ, რა სამკაულია, მთლად აღმასებულია შემკული და უცნაურად ძვირფასი ქვებითაა მორთული, თანაც, როგორ ბრწყინავს! - უფრო ძვირადაც შეგვიძლია შევავასოთ?! მერე ვინ იყიდის ძვირადღირებულ ბეჭედს, ჩვენს მხარეში ხომ ყველა ღარიბ-ლატაკია? - ქალაქში წავიღოთ, იქ მდიდრები ცხოვრობენ! - იმ მდიდრებმა რომ გავყიდიონ, - ნაყაჩაღარიო, - მერე, სად მიდიხარ? - მოდი, მე დამითმე, ჩემს ცხენში გავცვალოთ, ასე რომ მოგწონს ძალიან. - რას ამბობ, განა ასე სულელი ვარ, სად ცხენი და სად ბეჭედი. - ბეჭედი მე მეკუთვნის, მე! - ხმას აუწია პირველმა. - მაშ, შენ გეკუთვნის, არა? - უკან არ დაიხია მეორემაც. - ჰო! - მე, არა?!

სურათი, გარდა, ბუჩქების უკან მიმალული გლეხკაცის ნალალატარი ძაღლისა, რომელიც შიშით იმავე წამს გაეცალა იქაურობას. შინ მობრუნებული ისე ჩააფრინდა თავის პატრონის ჩოხას და იმ მხრისკენ გაქაჩა, საითაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ყაჩაღები წაეკიდნენ ერთმანეთს, რომ შეცბა გლეხკაცი. ჯერ ძაღლის დანახვამ გააოგნა, მერე მისმა საქციელიმა. - რა უნდა? - გაიფიქრა უმაღლ. მოცილებს სცადა, მაგრამ, ამაოდ. გლეხი გუბანით მიუხედავად ძაღლს, იგი აიძულებდა ყაჩაღებისკენ მიმავალი გზით გაპყოლოდა. გლეხიც უხმოდ მიენდო ბედისწერის გზას. მოგვიანებით, ჯერ ცხვარ-ძროხის ბლავილის ხმა შემოესმა ვინრო, კლდოვანი ხეობის იქით, მერე ოჯახის ამკლებთა სისხლში მცურავ გვემებს მოჰკრა თვალი. იქვე, გვემების შორიახლოს კი, მისდა გასაკვირად, სამყურა ბალახის ძირში, როგორც ციციანთელა, ისე ანათებდა მისი ჯადოსნური ბეჭედი.

თავგანთავსება

როგორ დაისაჯა მძარცველი

ერთი მხედარი, შორი ქვეყნიდან, სადაც საშოვარზე იყო წასული, შინ ბრუნდებოდა. გზაში ერთი კაცი გაიკვნო, რომელიც დაემგზავრა. თანამგზავრთან მუსაიფში გრძელი გზა ხომ თითქოს მოკლდებოდა. მხედარიც ალაღად უყვებოდა თანამგზავრს თავის ამბავს: - ფული ვიშოვე და ოჯახში მიმამქვსო.

დაღამდა. ცხენი ხეზე მიაბეს და დასაძინებლად ბალახზე მიწვნენ. უცებ ესმის, როგორ იქექება მისი თანამგზავრი მის ნივთებში და მაშინვე მიხვდა, რომ გაძარცვას უპირებოდა: - რას სჩადიხარ, რამდენი წელია სახლში არ ყყოფილხარ, თავი გადავდე, რომ ოდესმე მდიდარი დავბრუნებულიყავი! უცნობმა იარაღი დააძრო და დაემუქრა: - არა უშავს, როგორმე გადაიტან, ახლა კი გაიხადე ტანსაცმელი!

- ღვთის გულისათვის, შემიბრაღე, ტანსაცმელი მაინც დამიტოვე, სოფელში ტანშიშველი ხომ არ დავბრუნდები? - ფულს ყველა ისე მოულობს, როგორც შეუძლია, - უპასუხა მძარცველმა. - ღმერთის მაინც არ გეშინია? ამ გზით ნაშოვნი ფული არ შეგერგება, ღვთის მოთმინებას ნუ სცილი! - რამდენის მოთმენა შეუძლია? - ორმოცი დღიდან ორმოც წლამდე! - მაშ, დრო თავზე საყრელად მქონია, - თქვა მძარცველმა და სიბნელეში გაუჩინარდა.

სანყალი კაცი, თვალის დახამხამებაში, წყვილადში, უცხენოდ და უფულოდ დარჩა, თანაც, დედამოხილა. გადამწყვიტა, სანამ ჯერ კიდევ ბნელოდა, ჩქარა ევლო, რომ სოფელში გაათენებამდე ჩაეღწია. ამ სიბნელეში, ტყე-ღრეში, გზას რომ მიიკვლევდა, ადამიანის კენესა შემოესმა. შეჩერდა და ჰკითხა: „ვინა ხარ, ვერ გხედავ, შენი ხმა საიდან ისმისო?“ თხრილიდან უპასუხეს: „ცხენით მოვდიოდი, ფეხი დაუცვდა და თხრილში ჩავვარდი. ცხენი ზედ დამეცა და ვერ გამოვდივარ, გეხვენიები, ქამარი ჩამოუშვი, მოვეჭიდები და ამოვალო“.

- გამძარცვეს, ტანსაცმელიც არ შემარჩინეს, არც ქამარი მაქვს და არც არაფერი. - უსინდისო მატყუარავ! აი, შენ გითვლი წყვილა-კრულვას. შენ არ მიტხარი, ღმერთის მოთმინება ორმოცი დღიდან ორმოც წლამდე გრძელდება? მე კი ამ თხრილში ორმოცი წუთის მერე ამოვყავი თავი! - ნამუსი არ გაქვს, ისევ მე რომ მადასამაულებ?! ღმერთმა ადრე ჩადენილი ცოდვებისთვის მოგიზღო სამაგიერო, რაც ჩემ წინაშე შესცოდე, ამისთვის მომავალში დაისჯები.

თურქულიდან რუსულად თარგმნა ნაზირა მპინაძემ, რუსულიდან - ასმათი შიცხლაური-ფარჯინაძე



**ლაზით ახლოური**

მამულო ჩემო, ყველამ დაგთმო, ყველამ გაგწერა, ჩამოგაქციეს, არ გაკმარეს ასჯერ გაყოფა, გაყიდულია ქართლის მიწა ნანილ - ნანილად, ფეხზე შვიდიოთ შენი ყოფნა, შენი არ ყოფნა...

მამულო ჩემო, არ ელისრა ამოსვლა შენს მზეს, ამ ყრუ სოფელში აღარ ვიცი, ვილას მიემართო... ხომ შესძელი და წამოდექი ათასჯერ ფეხზე, უნდა შეძლო და... ერთხელ კიდევ წამოიმართო!

ნეტა როგორ არიან ქსანზე ჩემი სწორები, ჰოი, ჩემი მიწაო, რა ახლოს და რა შორს ხარ... ალბათ, თმაშევერცხილი, აღარ მოვეწონები, ქსანის ნაპირთან დარჩენილ ჩემს უდარდელ ბავშვობას...

ჩვენი ნუთისოფელი გზა ყოფილა სევდისა, ერისთავთა მამულში ვერ ქართველობს ქართველი... არ იდარდო, დედაო, ეს სიმუხტლე ბედისა, ისევ მოვალ ახალგორს ანთებული სანთლებით...

ჰოი, ჩემი მიწაო, რა ახლოს და რა შორს ხარ...

**სამშობლო**

სამშობლო ჩემთვის დღესაც დარდია, ფიქრი ოხერი ისევ მენვია... მე სადიდგორედ მზრდიდა გადია, შენ კი აკვანი უნდა გერწია.

ხმაღზე მარჯვენა ბევრჯერ წამიცდა, როცა ერეკლეს ძახილს ვისმენდი. ჩემს არაგველებს ვახლი კრწანისთან, იქ ვენაცვალე მამულს ღვთის ნებით.

მე მომკლეს, მაგრამ ისევ ავდექი მამულზე ფიქრი როცა მენვია... მე სადიდგორედ მზრდიდა ალგეთი, შენ კი აკვანი უნდა გერწია...

მე ცოტენს სისხლი მიდულს ამ გულში, შენ თამარი ხარ, თეკლა, მარამ... არ გავახარებ მტერს ჩემს მამულში, არც არასოდეს გაუხარია!

\*\*\*  
ციკლიდან „მომინატრა ახალგორი“

ვერ ვეგუებო, ველარ ვიტან უკვე ამ ურდოს, მათ მბრძანებლობას ხანგრძლივსა თუ მოკლევადიანს...

ისეთი რამე გაგაკეთო, მინდა მამულო, სხვას კი არა და, გაუკვირდეს ცოტენ დადიანს!

**მაცხოვრის ფრესკასთან**

ვინ იცის, წინ კიდევ რამდენი ფიქრია, რამდენი დარდია, რამდენი ტკივილი... სადაც აღმართია, დაღმართიც იქვეა, ცრემლმა წამიშალა ამ დილით ღიმილი.

ვემზობი... უფალთან შეხვედრა მწადია, არ ვიცი, ტაძრის გზით ბოლომდე ვინ ივლის... მაცხოვრის ფრესკასთან ამ დილაადრთან რატომღაც ბავშვივით მომიწდა ტირილი...



**მტკნო**

აქ მესხები შემოსულან, თურმე, მეც ნაკვალევს დავტყობდი მესხთა, გზაზე ვიღაც მიუყვება ურემს, მთვარის ჩრდილში განაბულა მცხეთა...

არსაკიძე... პომპეუსი... აზო... ნეტავი რამ დამასიზმრა ერთად... ფარნავაზი დღესაც ფარნავაზობს, თუმცა არმაზს აღარ თვლიან კერპად.

აქ ღვთისმშობელს დაუდვია ბინა, ისმის წყნარი შარიშური ხეთა, გაცს და გაიმს აღმერთებდნენ წინათ, დღეს ქრისტეს კვართს ეფერება მცხეთა.

ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარს ქართლი, ზედაზენი მზის სხივივით მათობს, შევცოდავ და ფარნავაზის ხათრით, მეც კერპივით გაგაღმერთებ, ქართლო!

**ზამთრის სურათი**

მახსენდება სურათები სოფლის, ჩემი სახლი, ჩემი ეზო - კარი, კვერიათი - შემოსილი ჭორფლით, სარზე მძივად აწყობილი კვარი...

კვლავ ვიხსენებ მივიწყებულ სიზმარს, მახსოვს, მთებზე დიდი თოვლი იდო. საღამო ხანს „მაგრადებოდა“ პირუა, ამინდებზე ხშირად ბჭობდნენ იმ დროს;

თოვლი იყო საფიქრალი მათი, თუმც მთიულებს სხვა საფიქრიც ჰქონდათ, საუბრობდნენ ერთმანეთის ხათრით, მერე რა, რომ ციოდა და თოვდა...

ღამეები ნათდებოდა სანთლით, ხევის წისლივით ასდიოდა ბოლი,

სულ სხვა იყო ეტიუდი ზამთრის, ჩექმის ჭვინტით გატკეპნილი თოვლი.

მერამდენედ მახსენებდა დედა, „ზამთარია, არ გაცივდე შეილო!“ დღეს ყველაფერს სიზმარივით ვხედავ და წარსულში დაბრუნებას ვცდილობ.

მაგრამ, რისთვის? - ჩაუვლია თოვას, დარდს რა ვუყო. - თავს მახსენებს თუ კვლავ... ის ზამთარი აღარასდროს მოვა, აღარც დედა დაბრუნდება უკან.

\*\*\*  
გული - ოცნებების სასაფლაო თითქოს მიყურდა და გაჩერდა... აღარ გახსენებ და აღარ ვდავობ, დრო ხომ უშენობას მარჯვენადა.

ჩემი სურვილები - შეშლილები, წარსულს ვუსახსოვრე დღეს ნებით, წავალ, მეც დეკემბერს ვემვიღებო... გულო, მდუმარებას ვნებდები.

ნულარ გამიღვიძებ სულს ხმაურით, იქნებ მწუხრისფერიც ახია... გული საფლავია უცნაური, სადაც სიყვარული მარხია.

\*\*\*  
ერთმანეთს ისე შემოვეყარეთ ჩემი ცხოვრების გზაზე, რომ უნებურად შემომეყვარე, მიხარხარ და მაგებ...  
ჩემი გახდი და აღარ დამტოვო... ამ სიყვარულის ხათრით, შენი სხეული უნდა მათხოვო ჩვენი შვილისთვის - ცხრა თვით.

მე შენგან მიწდა მხოლოდ და მხოლოდ ფშავლის თავნება ბიჭი, მამის თვლები გამოვაცილოთ და სიყვარულის ნიჭი.

რომ გაგახსენდეს შენი წარსული ვაჟს მოვაცილოთ ქალი, მიწდა შენ გვავდეს ჩემი ასული - დედის ალი და კვალი...

გავიღის მერე კიდევ ცხრა თვე და კიდევ ცხრა თვე და ცხრა თვე... მიწდა სულ ასე გვერდით მყავდე და მიწდა სულ შენით გავიბე.

ერთმანეთს ისე შემოვეყარეთ, აზრი აღარ აქვს მალვას, გნახე თუ არა, შემომეყვარე და დაგიჩემე, ქალავ!..

**ქალი**

ქალი ვაზია, უნდა ეფერო, უნდა ჩაიკრა გულში და გათბე... მზით დაფერილი მწიფე მტევანი უნდა დანურო მერე და დათვრე... ქალი ვაზია, სხეული მდედრის უნდა აქციო ყურძნის მარცვლებად. უნდა დაცალო ქალი ბოლომდე და კვლავ შეავსო გამოსაცლელად...

\*\*\*  
მომენატრები, უსაშველოდ მომენატრები, არაფერია - ვიტყვი, თუკი შემინშენს ცრემლი. დღეს ჩემს სიხარულს ხვალ ტკივილად მოემატები, შენს ღიმილს ველარ აირეკლავს ღიმილი ჩემი.

ველარ ვისწავლი მართლობის წლებთან შეჩვევას და ყოველ ღამე

გამოვეყები სიზმრებს შენთან მე... არ დამილონდე, - უშენობა თუ შემემჩნევა და ეს ცრემლები გულიდან თუ ამოხეთქავენ.



ფოტო შაქრო მურმანიშვილისა

\*\*\*  
მქონდა საფიქრიც და საბატონოც, მზესთან სიახლოვეს არ ვიშლიდი... გულში ჩამისახლდა, ქალბატონო, - თქვენი მომხიბვლელი ქალიშვილი...

მისი სილამაზის დავალებით, დღესაც ინერება სტრიქონები... ბევრჯერ ჩამოვშალე დალალები, მერე რალაც მიზეზს ვიგონებდით.

ისე შემეყვარდა თქვენი გოგო, ყველგან სიყვარულზე ვსაუბრობდი. ოი, რა ვუთხარი მთვარის მომგონი, მთვარეს ქურდებივით გაეურობდით...

დღესაც გულში მრჩება საბატონოდ, დღესაც ვერ შევძელი დავინყვება... მეტს ვერ მოგიყვებით, ქალბატონო, მეტი როგორ გითხრათ, გამიწყრება!

\*\*\*  
ის, ვინც ყველაზე ძალიან გიყვარს, ის, ვინც ყველაზე ძალიან მოგწონს, ვისაც მიუძღვნი შენს ყველა სიტყვას, ვინც გულისგულში დაგინთებს კოცონს,

ვინც გეფიქრება დღისით და ღამით, ვინც შენთანაა ცხადში თუ სიზმრად, ვინც არ გავიწყებს წუთით და წამით სიცოცხლის ხიბლს და ცხოვრების მიზანს...

ვისიც, როგორც კაცს, გექნება ვალი, ვისზეც ყოველწამს გიჭირავს თვალის, ვინც იმედი და რწმენაა ხვალის იყო, არის და იქნება ქ ა ლ ი!

\*\*\*  
წლები ყოფილაო საქანელა, არც კი დავაცდიან გაღიმებას... თითქოს გუშინ იყო დაქალბა, თითქოს ახლა იწყებ დავინებას...

მაინც გეფიქრება, რომ ათასი თვალი გზაზე აღარ მიგაცილებს... უკვე დანყებულა თოვა თმაში, უკვე გენატრება სიყმანვილე...

რა დრო გასულაო, დალოცვილი, - იტყვი მოწყენით და დადინჯებით. მაგრამ, სულაც არ ჩანს გამოცვლილი იგი, ვინც გიყვარდა გაგიჟებით...

გულში ისევ სითბო იბევრებს და რა დროს წლებიო, - გოცდები... ჭირსაც წაუღია სიბერე და თვალთან გაჩენილი ნაოჭები...



### ჩუთხალოლი

რვაასორმოცდაათი წლის წინათ შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“. ამ ხნის მანძილზე გენიალურ პოემას გულდასმით ჩავკირკიტებთ. ერთნი სულიერ საღებურს ეძებენ მასში, მეორენი კი, ისევ და ისევ, „ვეფხისტყაოსანს“ უკიდევანო პოპულარობის გამო, სპორტული ჟინით შეპყრობილი ჩხრეკენ და ცბირილად გაუთავებლად „ზოგნი მის ავტორს ფრთებს ატოლებენ, ზოგნი ცალკეულ სტრიქონებს საკუთარი გემოვნების შესაფერისად ასწორებენ. ზოგნი ქართველთა ამ ხელთუქმნელი განძის შექცევაც-შემცირების მკრეხელური ოპერაციით გართულან, ზოგნი კი იმდენად კადნიერდებიან, რომ ახალ სტროფებს ამატებენ და მკითხველს „ვეფხისტყაოსანს“ გაგრძელებებსაც კი სთავაზობენ.

საუკუნეთა განმავლობაში ვის ხელში არ გამოიარა შოთა რუსთაველის პოემამ. ხან გადამწერნი უშვებდნენ ნებსით თუ უნებლიე შეცდომებს, ხან ე.წ. „ინტერპოლაციები“ ასწორებდნენ სურვილისამებრ და განმკითხავი არავენ იყო. ამ ბოლო სამ საუკუნეში, თითქოსდა, გონივრული განსჯის საგნად იქცა იგი. ერთმანეთს ცვლიდნენ ვახტანგის, „სწავლულ კაცთა“, ქართველიმწიფისეული გამოცემის, საიუბილეო თუ აკადემიური კომისიები, მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“ საბოლოო ტექსტის დადგენა ვერა და ვერ მოხერხდა. ბოლოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ“ სცადა განესრულებინა ეს ურთულესი საქმე, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო. უფრო მეტიც, სხვა კომისიების (განსაკუთრებით ილიასეული კომისიის) მიღწევებიც კი უგემოვნობის საცერში გაატარა და გააცამტვერა. იმის მაგივრად, რომ აკადემიურ კომისიას იუველირის სიფაქიზით, მეცნიერების ლამაზობით ევლო „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ ლაბირინთებში, მისი ნევრების ერთი ნაწილი „არითმეტიკული კვლევის“ გზას დაადგა. ედოთ წინ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და თუ, ვთქვათ, ხუთი ხელნაწერიდან სამში „ვგზობ კაცსა უაუგოსს“ ეწერა, ხოლო ორში „ვგზობ კაცსა აუგოსს“, უფრო სწორად „ვგზობ კაცსა უაუგოსს“ მიიჩნეოდნენ და ამ აშკარად მცდარ ფრაზას აკანონებდნენ.

ასე და ამდგავარად, სხვადასხვა გამოცემლობები, დღესაც ბეჭდავენ „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯებულ ვარიანტებს და მკითხველი კი ამოვდის ელის ჭეშმარიტი მეცნიერის გონებაში გამოტარებულ, მეტნაკლებად მაინც საბოლოო ტექსტს, რომელსაც ენდობა და გაითავისებს.

რას ჰქვია „საბოლოო ტექსტი?“ რასაკვირველია, შოთა რუსთაველის ხელიდან გამოსული პირველწყაროს ადექვატური ტექსტის მოძიება უძნელესი საქმეა, მაგრამ თუ რამდენადმე მინც მიუახლოვდებით ავტორის უძვირფასეს მხატვრულ ხელთვას, საოცნებო რამ გახლავთ, თუმცა სრულყოფილი ტექსტისკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებით:

საუკუნეთა განმავლობაში რომ ცვლილებას განიცდიდა „ვეფხისტყაოსანი“, ეს სადავო არ გახლავთ. სადავო ის არის, აქვს თუ არა მორალური უფლება კომპეტენტურ კომისიას „შესწოროს“ „ვეფხისტყაოსანს“ ზოგი აშკარად სადავო ადგილი ტექსტის გაუკეთებელს მიმართულებით. რასაკვირველია, ჩვენი მიზანია „ჩვენი ტექსტი“ „ვეფხისტყაოსანს“ რუსთაველისეულს მაქსიმალურად მივუახლოვოთ, მაგრამ იქ, სადაც ეს ვერ ხერხდება და არც სათანადო მეცნიერული საბუთები გვაქვს იმისათვის, რომ მაგანის მიერ ტექსტის აშკარა შერყვნა დავამტკიცოთ, როგორ მოვიქცეთ? აქ ქართული პოეზიის ტრადიციის მოშველიება და გულდასმით ესთეტიკური დაფიქრება გვმართებს, რაკილა რვაასი წლის განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა „ვეფხისტყაოსანს“ ტექსტი, ხომ შეიძლება ასე არასწორი შესწორებებიდან ორი მაინც ისეთი ყოფილიყო, რომლის ავტორისეულობის დამტკიცება გავიჭიდებოდა, მაგრამ მხატვრულ-მუსიკალურად აშკარად უკეთესი იყო, ვიდრე ესა თუ ის ხელნაწერი გვთავაზობდა? ჩემი ღრმა რწმენით, ასეთ შემთხვევაში, კომპეტენტური (ხაზს ვუსვამ) რედაქტორი უფლებამოსილია ენდოს ქართველი ხალხის (ამ მართლაც რომ გენიალური შემოქმედის) ინტუიციას და სწორედ რომ ერის მიერ შესწორებულ-დაკანონებული სტრიქონის მიხედვით „შესწოროს“ (ოლონდ იშვიათ შემთხვევაში), „ვეფხისტყაოსანს“ ესა თუ ის ადგილი. მაგალითად: თუ ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს სტრიქონს **„ზოგსა გარდაჰკრის მათრახი მკრდამდის გასაპობელად“**, მე ვფიქრობ, ჩვენ დავა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა გადავწყვიტოთ.

კადნიერებაში არავინ ჩამომართვას თუ ამჟამად, „ვეფხისტყაოსანს“ შექმნის 850 წლისთავზე, ფართო მკითხველს და ტექსტის დამდგენ კომისიას დაბეჯითებით შევთავაზებ „ვეფხისტყაოსანს“ ზოგიერთი სტრიქონის ჩემიულ შესწორებას. ამ „შესწორებებზე“, ათეული წლების განმავლობაში, სხვებთან ერთად, მეც ბევრი ვწერე და ამიტომაც მეცნიერული დასაბუთებით მკითხველს ამჯერად აღარ გადავლი. პირდაპირ საქმეზე გადავალ. თავში სტროფის ნომერს მოვიხმობ, მერე ე.წ. აკადემიური გამოცემის სტრიქონს და ბოლოს ჩემიულ ვარიანტს. თუ ჩემს „რჩევებს“ ისულგულებენ გამოცემელნი, ჩემს ამოცანას შესრულებულად ჩავთვლი.

- 24 არის:** ნურვინ გარევთ ერთმანეთსა! გესმის ჩემი ნაუბარი?  
**უნდა იყოს:** ნურვინ გარევთ ერთმანეთსა! გესმის ჩემი ნაუბარი.
- 35 არის:** იგი წარხდების, სხვა მოვა, ტურფასა საბალნაროსა.

**უნდა იყოს:** იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბალნაროსა.

**37 არის:** მისივე მეტობს ყვავილთა სული და ტურფა ფერობა.  
**უნდა იყოს:** მისივე მეტობს ყვავილთა სუნი და ტურფა ფერობა.

**50 არის:** რასაცა გასცემ შენია; რაც არა, დაკარგულია!  
**უნდა იყოს:** რასაცა გასცემ შენია; რას არა, დაკარგულია!

**88 არის:** სხვაგან ქნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!  
**უნდა იყოს:** სხვაგან ჰქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!

**93 არის:** ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად.



„შესწორით“ თუ არა „ვეფხისტყაოსანი“

**უნდა იყოს:** ზოგსა გადაჰკრის მათრახი მკრდამდის გასაპობელად.

**98 არის:** ამაღ მიყო სიამისა სიმწართა დანავლლება.  
**უნდა იყოს:** ამაღ მიყო სიამისა სიმწართა დანავლლება.



**104 არის:** მოდი, ჭმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მენამლეო.  
**უნდა იყოს:** მოდი, ჭმუნვა გამიქარვე, გულის წყლულსა მენამლეო.

**უნდა იყოს:** ან ამხანავთა არ გიგრძნან, წადი, მათთანა ვლიდია.

**439 არის:** კაცსა შევეც, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიხდეს მზესა.  
**უნდა იყოს:** კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიხდეს მზესა.

**555 არის:** თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემავებინე?  
**უნდა იყოს:** თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა გამავებინე?

**582 არის:** მათ გაეხარნეს, ხმამალად იყივლეს: „იპი“, „იპია“.  
**უნდა იყოს:** მათ გაეხარნეს, შეხლტუნვით იყივლეს: „იპი“, „იპია“.

**789 არის:** ვგზობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ლალატინასა.  
**უნდა იყოს:** ვგზობ კაცსა აუგოსასა, ცრუსა და ლალატინასა.

**162 არის:** განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი.  
**უნდა იყოს:** ფათურაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი.

**867 არის:** არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრეფიან.  
**უნდა იყოს:** არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრეფიან.

**1589 არის:** ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხომელსა.  
**უნდა იყოს:** ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა.

**191 არის:** მას მინდორსა დემართა, გზა თვალთა გამოხაზა;  
**უნდა იყოს:** მას მინდორსა გაემართა, გზა თვალთა გამოხაზა;

**1583 არის:** გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა.  
**უნდა იყოს:** გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეს სიმუხთლე ჟამისა.

**247 არის:** ღრუბელიცა ვერ მიხვდების, მე მისრულვარ სადა, მი, სად.  
**უნდა იყოს:** ღრუბელიცა ვერ მიხვდების, მე მისრულვარ სადა, მი სად.

აქვე დავსძენ იმასაც, რომ რუსთაველოვმა მურმან თავიშვილმა ოთხსაგვერდიანი გამოკვლევა-ბრალდება უძღვნა „ვეფხისტყაოსანს“ განუკითხავად შემოკლებლებს, მაგრამ ჯიუტმა „აკადემიკოსებმა“ მურმანის მშვენიერი წიგნიდან („დაფანტული სტროფები“) არცერთი სტროფი არ „შეინყნარეს“ და „ვეფხისტყაოსანს“ არ დაუბრუნეს. განა სამართალია, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ახალ გამოცემებში აღარ გვხვდება გენიალური სტროფები: **„რა ესმოდის მღერა ყმისა სმენად მხეცი მოვიდიან...“** ან **„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ-ჩავჩქარაბაკე...“** ან კიდევ, — **„მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლი სულიერნი...“** და ა.შ.

**349 არის:** იქით და აქეთ მომისხდეს, მახვრიტეს სახვრეტელია;  
**უნდა იყოს:** იქით და აქეთ მომისხდეს, მახვრიტეს სახვრეტელია;

რაც შეეხება „ინდობატაელთა ამბავს“, მე, პირადად, იგი „ვეფხისტყაოსანს“ ორგანულ, განუყოფელ ნაწილად მიმაჩნია. ამ დასკვნის გაკეთების საბუთს მაძღვეს ნანარმოების სიუჟეტის მდინარება, რომლის ლოგიკურ ფინალს სწორედ რომ „ინდობატაელთა ამბავი“ წარმოადგენს და აგრეთვე „ინდობატაელთა ამბის“ ტექსტუალური შედარება „ვეფხისტყაოსანის“ ძირითად ნაწილთან.

**351 არის:** სანოლის მეკრე შემოდვა, მოლარე გაიყვანა მან,  
**უნდა იყოს:** სანოლის მეკრე შემოდვა, მოლარე გაიყვანა მან.

ნუთუ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის რვაასორმოცდაათი წლისთავის ზეიმზე მაინც არ გველირსება „ვეფხისტყაოსანის“ მეტნაკლებად მაინც სრული, სანდო გამოცემა?

**429 არის:** ან ამხანავთა არ გიგრძნან, წადი, მათთანა მიდია.

ქართველთა და ებრაელთა კეთილმოყვარეობა და თანაცხოვრება რომ არ მიმოვიხილოთ, არც ნინაპურებთან ვიქნებით მართლები და არც მომავალ თაობებთან. მცხეთელმა ებრაელებმა, საქართველოს სულიერ დედაქალაქში, თავიანთი უბანი – „ჰურიათა“ შექმნეს და თავიანთი თავი ქართულ კულტურაში ჩააქოვეს. დადასტურებული ფაქტია, რომ მცხეთამდე, ადრე, ებრაელები მესხეთის მიწას შეეხიზნენ. სხვანაირად ვერც მოხდებოდა. უფლის ჩვენი იესო ქრისტეს ჯვარცმის შემსრულ და, შემდგომ, ერუსალიმიდან გამოძევებული ებრაელები არა მარტო მცხეთას, არამედ მტკვრის ხეობაში მყოფ ქართულ ციხე-დარბაზებს და მათ მფლობელებს დაუახლოვედნენ.

ებრაელები კარგად იცნობდნენ მესხებს, მათ ძლიერად მოსწონდათ ნარსუსა და ანწყოს. ბიბლიაში მოხსენიებულ ქართულ ტომთა შორის მეშესხა და თუბალს განსაკუთრებით პატივს სცემდნენ ეს ბრძენი და განსაკუთრებით ჭირანანა ხალხი. როგორც ცნობილია, ებრაელები ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ, მაგრამ მათ ფინანსურ გამჭრიახობას და ბუნებრივ გონიერებას, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებაც ახლდა თან. ებრაელებმა, მას შემდეგ, რაც ისინი რომელმაც სარდალმა ტიტუსმა ერუსალიმიდან

*მისიურვა პარლამენტისებური წეს-წყობილება შემოიღო, მაგრამ ვერ განახორციელა* („თამარ მეფე“, ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამოცეკ.).

ყოფილ-არსლანმა „ქარაველი“ მთავრებთან ერთად, ვაჭართა და ამქართა შეყვანა განიზრახა. როგორც ჩანს, მას ფინანსური პოლიტიკის ღრმა ცნობიერება ჰქონდა გამოუმუშავებული. შესაძლოა მისი განათლება იძლეოდა ამის საშუალებას. ცნობილია, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვაჭართა საზოგადოებისთანავე, რომელსაც იმ პერიოდში ცნობილი თბილისელი ვაჭარი – ზაქარი წინამძღოლი წარმოადგენდა.

მართალია ყოფილ-არსლანის დასი დამარცხდა, მაგრამ, შემდგომში, სამცხის სამთავროში, ათაბაგებმა და, მთლიანობაში, მესხებმა, მომავალში განახორციელეს მრავალი საინტერესო საკანონმდებლო ინიციატივა, რამაც ადგილობრივ და ებრაელ ვაჭართა ფენას მომძლავრების საშუალება მისცა და მათ ისეთივე უფლებები დაუკანონეს, რაზეც ყოფილ-არსლან ჯაყელი მე-12 საუკუნეში საუბრობდა.

აი, მაგალითად: ბექასა და ალბულას სამართლის შესახებ ურბნელი ამბობს: „დიდი ვაჭარი უდრის ასაბატოდ მყოფს“ აზნაურსა, მცირე-კი ისეთს, რომელსაც „საჩინო ხელი“ არ აქვნდა“.

ხელმა ხელოსნებმა ეს საქმე დიდად შეეყვარეს და, როგორც ხალხების მემკვიდრეებს ეკადრებოდათ, მსოფლიოში საუკეთესო იარაღის დამზადება დაიწყეს.

შესაბამისად, ებრაელ ვაჭრებს ქართული იარაღი, განსაკუთრებით „ახალციხური თოფი“, „მესხური დამბანა“, ხერეთისული „ფიშტი“, ცნობილი თოფები აჭარიდან, – მაჭახელიდან, ასევე სიათა თოფები, დამზადებული ვალეში – კაკვასის სხვადასხვა მხარის ქალაქებსა და, მათ შორის, ირანშიც გაჰყვანდათ.

ცნობილია, რომ სომეხმა ვაჭრებმა, როდესაც 1828 წლიდან ახალციხეში რუსებმა ჩამოასახლეს, ვერ შესძლეს ვაჭრობის იმგვარად აწყობა, როგორც ეს ახალციხეში და ებრაელ ვაჭრებს შეეძლო. ხალხი უკმაყოფილო იყო სომეხი ვაჭრების უხარისხო საქონლით – ამბობდა რუსეთის მოხელე ერთ-ერთ ცნობაში.

სამცხის ათაბაგები, მსგავსად მათი ერთ-ერთი წინაპრისა – ყოფილ-არსლანისა, ატარებდნენ ვაჭრობას და ეთნოსების მხარდაჭერის პოლიტიკას. ვაჭრობის მხარდაჭერის პოლიტიკა დასტურდება ათაბაგების უკიდურესი სიმკაცრით ებრაელ ვაჭართა ხელყოფის მიმართ. როგორც ითქვა: „თუ ვაჭარსა, გზას მიმავალსა ან მომავალსა, საქონლის ნდომისათვის კაცი დახვდეს...“

*წინ. ოსმალეთის დამორჩილებამ ივინი შეაფერხა, ვაჭრობის დიდ გზას აკეცილა და უზარალა აღებ-მცივობა მისთვისა...*

მაგრამ, რაც ყველაზე საინტერესოა და რაზეც ჭიჭინაძის გადმოცემით თ. იველაშვილი მოგვითხრობს, ეს არის ფაქტი იმისა, რომ ახალციხეში ქართველებს, ქართული ენა, სწორედ ებრაელთა დახმარებით შეუნარჩუნებიათ!

„თუმცა, დიდის ნეალებითა და ძრწოლით, მაგრამ ებრაელთა ახალციხეში გაიმავრეს ფეხი, თავიანთი არ მოჰყოლონ და იქ მისი საშუალებით არც ქართული ენა მოისპო. ახალციხეს მან თავისუფლად მოაძლია 1829 წლამდე და მას შემდეგ ქართველ ებრაელთა მოხვებით ამ ენამ იწყო აღორძინება. სადაც ქართველ მამპადიანთა შორის ქართული ენა ადრინდელ მოსპო. ქართველ ებრაელთა უძველესი დროიდან ქართული ენა შემოინახეს თვით აღმოსავლეთის უშორეს ქვეყნებში“.

საფუძველი არ გვაქვს არ ვინმეხნოთ ზაქარია ჭიჭინაძის მონათხრობი, რისთვისაც მადლობის მეტი რა გვმართებს ქართველ ებრაელთა მიმართ, რომ მესხეთში მათ ქართული ენა შემოინახეს.

ამავე დროს, იბადება კითხვა: რამ განაპირობა ებრაელთა ასეთი დიდი სიყვარული ქართული

## „ქართულ ებრაელთა გამოხებით ამ ენამ იწყო აღორძინება“ (ქართველთა და ებრაელთა კეთილმოყვარეობა სამცხე-საათაბაგოში და ვაჭრობის წამახალისებელი კანონმდებლობა)



ნახატები დავით სამცხე-ჯავახიანიძის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში (მე-19 საუკუნის 80-იანი წლები).

გამოაძევა, ყველაზე ფასეულ მონაპოვართა შორის – ებრაული სკოლა შეინარჩუნეს. ებრაული სასწავლებელი, თუნდაც მცირე ზომის, სადაც თორის გადმოცემა რწმუნესთან ერთად გახდა ებრაული სამკაროსი ახალი ლერძი (ისრაელი და-ქარგული იყო), ებრაელებს დიდ სულიერებასა და ოპტიმიზმს შთააგონებდა.

როგორც ცნობილია, საქართველოში, თამარის გამეფების შემდეგ, ერთმნიშვნელოვნად დაიწვა საკითხი, საკანონმდებლო საქმიანობის ახლებურად მოწყობისა. 1184 წელს ქართველებმა მრავალი სოციალური ფენის წარმომადგენლობითი ორგანოს – „ქარაველი“ დაარსება მოითხოვეს. ეს „ქარაველი“, მომავალში, შესაძლოა პარლამენტის გახდეს. ინგლისში პირველი პარლამენტი გაცილებით გვიან შეიქმნა. სიმონ დე მონფორმა ინგლისის მეფეს, მსგავსი „ქარაველი“ დაარსება მოგიანებოთ მოსთხოვა. თავისუფლების დიდ ქარვლიას, ქართველებმა დაასწრეს და ამ მოძრაობას სათავეში მესხეთის მკვიდრი, საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილ-არსლანი ჩაუდგა სათავეში. მრავალი გამოჩენილი ისტორიკოსი, მათ შორის ჯაყელთა გენეალოგიის მკვლევარი, პროფესორი მიხეილ ბახტაძე, ყოფილ-არსლანს ჯაყელად მიიჩნევს. 1917 წლის ერთ-ერთ გამოცემაში ყოფილ-არსლანის წარმოშობის შესახებ ვკითხოვთ: „უპირველეს მითავედ... გამოვიდა ყოფილ-არსლან ჯაყელი. წინაპარი ამ ჯაყელებისა იყო ბეშქენი (1045 წ.) მეთაფრთვითმეტე საუკუნედეგან ერისთავდნენ სამცხე-ქვარაჯეთს, სახელდობრ, არტანუჯსა და ყველს, აგრეთვე ახალციხის მხარეს – ჯაყისმანს. ამ ჯაყის მფლობელობისა გამო გაუფგარდათ ჯაყელობა. კორიდების სახარების წარწერებში იხსენიება მთელი რიგი ჯაყელებისა, სახელდობრ, მურვან I ბეშქენისძე 1070 წლ. ახლო ხანს (ქ. ცხ. 212), ბეშქენ II მურვანისძე 1118 წ., მურვან II და მისი შვილი ზემო სხენებური ყოფილ-არსლანმაო.

ცხადია, რომ ვაჭრების განსხვავებაც სამსახურისაგან წარმოსდგა და არა ნივთიერის შეძლევისაგან, თუმცა, სხვა მხრივ უნდა ყოფილიყო, რადგან ვაჭრობის დედა-ძარღვს ქონება და სიმდიდრე შეადგენს. მაგრამ რაკი საათაბაგოში წოდებრივის ნაცვლად ღირსების მოსაპოვებლად „საბატიო ხელი“ აღიარეს, ვერც ვაჭრობა ასცდა საზოგადო მისწრაფებასა და მიმართულებას. რა „საბატიო ხელს“ ასრულებდა ვაჭარი? სამართალი მხოლოდ ბჭობას იხსენიებს: „კარგი, დიდი ვაჭარი ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის“ (მუხ. რა). რასაკვირველია, „ჭკვიანს“ ბჭობის გარდა, სხვა „საბატიო ხელიც“ შეეძლო, თუმცა, არ ჩანს, რომელი აღებულა დიდ ყურადღებას აქცევს მრევლოებას და აღებ-მცივობას. სასტიკად სჯიდა სამართლებრივად: ვინც ვაჭარს გაძარცვავდა, მოკლავდა და ან დასჭრიდა: ბრალდებულს „ორ-ეკცად“ უნდა დაეურჯა ნაწართი და სისხლი კიდევ სხვა იყო (მუხ. უ.).“ (წ. ურბნელი: „ათაბაგნი. ბექა და ალბულა და მათი სამართალი“).

მესხეთის ათაბაგები განსაკუთრებით დიდი პატივისცემით ეყრდნობოდნენ ებრაელ ვაჭრებს, რომლებსაც ასახლებდნენ ახალციხეში და მათ საეჭრო ობერაციებს დიდად უწყობდნენ ხელს. ცნობილია, რომ ახალციხეში ებრაელი ვაჭარი, ნელინადმი 5-ჯერ ასწრებდა ისპაჰანში, თავარიზში ვიზიტს და საქონლით უკან დაბრუნებას. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისპაჰანისა და თავარიზის, ხოლო შემდგომ, სტამბულის პაზრებში იცხებოდა ქართული (მესხური) საქონლით.

კი მაგრამ, რა საქონელი შეეძლო ჩატანა ქართველ, ებრაელ, სომეხ, ბერძენ ვაჭარს მესხეთიდან ირანში ან ოსმალეთში? პირველ რიგში, ცნობილი იყო ცხენის მოსარათებები. თბილისური და ახალციხური მოსარათებები მხედარს სპარსეთშიც კი გამოარჩევდა – ზვარაზის ძლიერმოსილი სულთანის კი ამაცოხდა ამით. შეზღვედნენ პერიოდში, როდესაც დენით გამოჩნდა, ახალცი-



და თუ გაძარცვასა შიგან კიდევ მოკლას, ორკეცი სისხლი უზღოს“.

„ორკეცი სისხლის“ მიზლვა დამნაშავეს ძვირად დაუფდებოდა. მთლიანობაში, როგორც ურბნელი წერს, – ათაბაგები დამნაშავეს სიკვდილით დასჯას მაინც ძალიან ერიდებოდნენ და მშვიდობის შენარჩუნებას ახერხებდნენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ათაბაგთა პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე ტანჯული ებრაელი ერის მიმართ. ებრაელები საქართველოში და, მათ შორის, მესხეთში, 26 საუკუნის წინ შემოვიდნენ. მთელი ამ ხნის მანძილზე არ მოიპოვებდა თუნდაც ერთი ფაქტი, რომელიც ებრაელთა შევიწროებას ასახავდა. ვაჭარი ებრაელი უფრო მცირე გადასახადს იხდიდა, ვიდრე სხვა კონფესიის წარმომადგენელი. თუ შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში ებრაელი იზოლირებული იყო სახელმწიფო ცხოვრებიდან, საქართველოს მხარეებში, თუნდაც სამცხე-საათაბაგოში, ებრაელი ვაჭარი ათაბაგთა კანონმდებლობით, საკანონმდებლო ორგანოშიც მოღვაწეობდა.

როდესაც სამცხის ათაბაგი ალბულა ჯაყელი თავის საკანონმდებლო ძეგლში „მესხეთის კანონების კოდექსში“ წერდა – „ვაჭარი ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის“, – ამგვარი დემოკრატიული ფრაზა იმ პერიოდის ევროპაშიც არავის უთქვამს. წარმოიდგინეთ: ბექას სამართალი შედგენილი უნდა იყოს 1295-1304, ალბულასი – დაახლოებით 1381-86 წლებში. სწორედ ამ პერიოდში საშინლად უსწორდებიან ებრაელ ვაჭრებს და ებრაელ ერს ევროპაში, განსაკუთრებით, ინგლისში 1290 წელს, საფრანგეთში – 1394 წელს, ამავე პერიოდში – გერმანიაში და იტალიაში. ისინი მათ ასახლებდნენ თავიანთი საცხოვრისიდან და ქვეყნის დასალიერისკენ მიგრირებდნენ.

ამ ფონზე ქართველები, მათ შორის მესხები (განსაკუთრებით ახალციხელები) ებრაელთა მიმართ დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და თანაცხოვრების კულტურით გამოირჩევიდნენ.

2015 წელს გამოიცა პროფესორ თინა იველაშვილის მეტად საყურადღებო ნაშრომი სახელწოდებით – „ეთნიკური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში“, რომელიც ხაზგასმით აღინიშნავს ებრაელთა დასახლების პუნქტებს მესხეთში: ქართულ კულტურასთან შესისლხორცებულ ებრაელებს საუკუნეების მანძილზე უცხოვრიათ აბასათუმანში, ადიგენში, აწყურში, რომელთა სულიერი ლიდერი იოსებ კოკოშვილი 1845 წელს მიმართავდა რუსეთის ხელისუფლებას ებრაელთათვის ახალციხეში გადასახლების უფლებების მიცემასზე.

განსაკუთრებით საინტერესოა ახალციხის ებრაელთა ბედი. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: ოსმალეთის შემოსვლამდე, ანუ „1630 წლამდე, ...ერაულისციხე დიდს აღებ-მცივებს გზას ეთვისებოდ-

კულტურისა და ქართული ენის მიმართ?“

პირველ რიგში, უნდა დავიწყეთ ებრაული ისტორიული ფენის ძიებით ახალციხეში, რათა გამოვივლიოთ ის დრო, როცა ეს ბრძენი ხალხი ამ ქალაქში დამნაშავეს სიკვდილით დასჯას მაინც ძალიან ერიდებოდნენ და მშვიდობის შენარჩუნებას ახერხებდნენ.

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ახალციხეს ერთვის ურბანთა ბორჯომის ხევი, მისივე მთის გამოქანდაცა“. ქალბატონი იველაშვილი თვლის, რომ ეს ადგილი – „ურბი“, შესაძლოა, ებრაელთა უძველესი დასახლების კერა იყო. თუ ამ მოსაზრებას დავუშვებთ, მაშინ ეს ყოფილა „ჰურიათა“ უბანი, სწორედ იმგვარი, როგორც უძველეს მცხეთაში გახლდათ.

ოსმალთა ბატონობის დროს, ებრაელები, ახალციხეში, მთაზე, რაბათის ციხის დასავლეთით სახლობდნენ. მათ თავიანთი სასაფლაო ჰქონდათ, რომელიც შემდეგ რუსთა მიერ ახალციხეში გადმოსახლებულ სომხებს მიუთვისებიათ (იველაშვილი, 2015). ებრაელებს თავიანთი მიცვალებულები ამოუთხრიათ და ცალკე გადაუხვეციდნენ. სომხებს კი ებრაელთა საფლავების ქვეში გაუზიდიდით და მისგან სახლები აუგიათ. საოცარია, მაგრამ, ფაქტია!

ახალციხეში, მტკვრის მარცხენა ნაპირას, ებრაელებს რამდენიმე სინაგოგა ჰქონიათ. „1835 წლის მონაცემებით, ახალციხეში ცხოვრობდა 623 ებრაელი, მათ ჰყავდათ ერთი რაბინი, ორი ხაზანი. ი. ჩორნის ახალციხეში უნახავს 1741-1742 წლებში აგებული სინაგოგა, სადაც სკოლის მავარი დანესებულზეა ცოფილია და ებრაულს ასწავლიდნენ. ახალციხეში ჰქონდათ 1522 წელს სალონიკი დაწერილი ბობლია, რომელთაზეც დაკავშირებული იყო ე.წ. მენდელიანის ულტი, სხვა ცნობიდან ჩანს, რომ ახალციხის მფლობელი, როგორც მარდაში, ყოფილა უძველესი სინაგოგა, რომელიც დიდი ხნის წინ სომხებს დაუნგრევიათ“ (იქვე).

ახალციხის გარდა ებრაელებს უცხოვრიათ და თავისი სალოცავი ჰქონიათ ისეთ მესხურ სოფლებში, როგორებიცაა: გოკია, დიგვირი, წუნდა, ბარაღეთი, ხერეთისი. ამ უკანასკნელში ებრაელებს ასევე ჰქონიათ სინაგოგა.

ახალციხის რაბათში არსებული სინაგოგა 1863 წელსაა აშენებული, ასევე უფრო ძველი – 1741-42 წლებში აგებული სინაგოგებიც, თუმცა, უძველესი სინაგოგების ნანეთი სხვაგანაც უნდა ვეძიოთ, რომლებიც დამდვილად იქნებოდნენ ახალციხის „ჰურიათა უბანში“, დღეს რომ „ურებად“ იხსენიებენ. ამის გარდა, აღსანიშნავია უძველესი, ანტიკური ქალაქი წუნდა (დღევანდელ ასპინძის მუნიციპალიტეტში), რომელსაც ჰქონია უბანი სახელწოდებით – „ჯივუთო-იქედია“. უძველესი ქართული ქალაქის ამ წმინდა ადგილას, ჩვენს ძმებს, ებრაელ ხალხს, ნამდვილად ექნებოდა უძველესი სალოცავიც.

# გალა საითიკა,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა არ დაიცევა, ერთ-ერთი უპირველესი თვისება ჩვენი ხალხისა, ვინაიდან წინაპართა ნაღვან-ნაძეგლები გახსენების გარეშე, ხომ შეუძლებელი გახდება ეროვნულობის შენარჩუნება და სამომავლო პერსპექტივაზე ფიქრი. აქ, სხვა მრავალ ფაქტორთან შორის, საჭიროა, იმ დროისა და სივრცის გათვალისწინება, რომელშიც ამა თუ იმ პიროვნებას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ეს კი შესაძლებელს გახდის: ყველას დამსახურებისამებრ მიეზღოს – პრინციპის განხორციელება.

თუ ამ გადასახედიდან დავაკვირდებით, ალექსანდრე თევდორე ძე ყიფშიძის (ფრონელის) მიერ განხორციელებული ცხოვრების გზას, თვალნათლივ დავინახავთ, რომ იგი ამაოდ არ დამშვრალა და თავისი ნიჭი და უნარი, მშობელი ქვეყნის სასიკეთოდ საქმეების კეთებაში დაუხარჯავს.

ალ. ყიფშიძე დაიბადა 1862 წლის 19 იანვარს, გორის მაზრის სოფელ წვერში, ღარიბი მღვდლის ოჯახში. გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. იმდროინდელი საიმპერატორო კანონების თანახმად, სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულს, უფლება არ ჰქონდათ უმაღლეს საერო სასწავლებლებში განეგრძოთ სწავლა. 1882 წლის აპრილში, როცა ალ. ყიფშიძე სემინარიის დამამთავრებელ კლასში იმყოფებოდა, კანონი შეიცვალა და სემინარიის კურსდამთავრებულს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება მიეცათ.

სიმნიჭის ატესტატის მისაღებად მან გამოცდები თბილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში ჩააბარა და 1884 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. როგორც გიმნაზიის კურსდამთავრებულს, თვეში 25 მანეთი სტიპენდია დაენიშნა იმ პირობით, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ განათლების უწყებაში დაინიშნებდა სამსახურს.

მაგრამ, 1888 წელს, როცა ალ. ყიფშიძე სამშობლოში დაბრუნდა და ვალდებულების შესაბამისად მასწავლებლობა მოინდომა, კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელმა მზრუნველმა **იანოვსკიმ** ამის საშუალება არ მისცა. ამიტომ იძულებული იყო სახელმწიფო სამსახური მოეტყუნა. ასე მოხდა იგი თბილისის საგუბერნიო სამმართველოს საქმეთა მმართველად, ხოლო შემდეგ, სხვადასხვა დროს, მუშაობდა საგლეხო საქმეთა საკრებულოში, სახაზინო პალატაში, მობრძებელ შუამავლად ახალციხეში; 1905 წლის რევოლუციის დროს კი ალ. ყიფშიძე, როგორც ხალხის კარგი მცნობი და გულმემატი ვარი კავკასიის მთავრობის მიერ დანიშნული იქნა ქუთაისის გუბერნატორის – **ალ. სტაროსკელსკის** მოადგილედ, ვიცე-გუბერნატორად. **„მათის მცდელობით პირველ რიგში გაუქმებულ იქნა სამხედრო წესები და მეტი გასაქანი მიეცა ხალხის თავისუფალ მოძრაობას“**, მაგრამ მალე **გენერალმა ალბანო-ფაშას კომ** ისინი დააპატიმრა და თბილისში გააგზავნა. სტაროსკელსკი პეტერბურგში გაუშვეს, ხოლო ალ. ყიფშიძე მეტეხის ციხეში ჩასვეს, ცოტა მოგვიანებით იგი სამსახურიდან **„უბუნად და უმუნდობად“** დაითხოვეს (იხ. **„სახალხო ფურცელი“**, N602, 1916 წლის 18 ივნისი).

1907 წლიდან ალ. ყიფშიძე სამსახურს იწყებს თბილისის გუბერნიის თავდა-ზნაურთა დეპუტატთა საკრებულოსთან არსებულ საადგილმამულო კომისიის მდივნად. სადაც სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა საქმიანობას...

ალ. ყიფშიძემ სამხედრო საქმიანობა ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს დაიწყო კორესპონდენციების ბეჭდვა გახ. „დროებაში“, 1884 წელს **ანდრია დულაძის** ყოველთვიურ საყმაწვილო ფურცელ „ნობათში“ თავისი პირველი მოთხრობა დაბეჭდა გლეხთა ცხოვრებიდან; ამავე ხანებში მას პირადად გაეცნო **ილია ჭავჭავაძე**, რომელმაც ამ ახალგაზრდაში დიდი ენერჯია დაინახა. აქედან მოყოლებული ალ. ყიფშიძე თავის წერილებს აქვეყნებდა **ს. მესხის** „დროებაში“... რუსეთიდან დაბრუნებული ისტემატურად თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებში: 1889 წლიდან იგი მუდმივი თანამშრომელი გახდა ილიას „ივერიისა“, სადაც ხშირად ხელმოუწერელ მეთაურ წერილებსაც კი ათავსებდაო, – როგორც **ი. მანვეტაშვილის** მოგონებებშია აღნიშნული (იხ. **იაკობ მანსვეტაშვილი. მოგონებანი, ტფ., 1936, გვ. 269**).

„ივერიის“ გარდა ალ. ყიფშიძე აქტიურად თანამშრომლობდა ისეთ გამოცემებში, როგორც იყო გახუთები – „ცნობის ფურცელი“, „მეგობარი“, „საქართველო“; ჟურნალები – „მოამბე“; „ერო“, „კლდე“... ამასთან ჟურნ. „კლდისა“ და გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი საეროდაქტიო კოლეგიის წევრიც გახლდათ. მისი უმთავრესი ფსევდონიმები იყო: **„ალ. ფრონელი“**, **„თერგ დალეული“**, **„ან-ფარი“**, **„არაინ“** და სხვ.

ალ. ყიფშიძე (ფრონელი) აქტიური თანამშრომელი იყო: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ქართული სამეურნეო საზოგადოების, საადგილმამულო კომისიის, ასევე არაერთი საქველმოქმედო საზოგადოების...



თავისი რწმენით იგი ზომიერი ლიბერალიზმის წარმომადგენელი იყო როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ საკითხებში... თუმცა, მისთვის ყველაზე უმთავრესი სამშობლო ქვეყნის ინტერესების გულწრფელი სამსახური იყო; სამოქმედო დევიზი კი: **„სიყვარული მოყვასისა, მოყვასისათვის თავგამოდებული ზრუნვა, უწყვეტ რეხელი პატიოსნების და სანატრელი ზნეობის თვისებით გატარება ცხოვრებისა და ამით მაგალითის მიცემა ყოველისათვის“** (თ. სახოკია).

ალ. ყიფშიძე (ფრონელი) თავისი არც თუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, როგორც მწერალი, უბოლიციისტი და ისტორიკოსი, ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. გარდა ათეულობით სავაზეთო და საჟურნალო სტატიისა და წერილისა, მის კალამს ეკუთვნის ცალკე წიგნებად დასტამბული საყურადღებო გამოკვლევები საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე. მათ შორისაა: „მთიულეთი – 1804 წელი“ (თბ., 1896 წ.), „ამბოხება კახეთისა – 1812 წ.“ (თბ., 1907 წ.), „მთის არწივი, შამილი“ (თბ., 1914 წ.), „დიდებული მესხეთი“ (ტფ., 1914 წ.) და სხვ.

ალსანიშნავია, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი გამოკვლევა დღემდე ინარჩუნებს მაღალ სანდობას და სამაგალითოდ რჩება ამ საკითხებზე მომუშავე ყოველი კვლევარისათვის. ეს, ალბათ, იმითაცაა განპირობებული, რომ ალ. ყიფშიძეს პირველს მიეცა საშუალება, თბილისის საგუბერნიო სამმართველო საკრებულოს მდივნად მუშაობის დროს, უშუალო შეხება ჰქონოდა ამ დანესებულების არქივში დაცულ მასალებთან, რომლებიც რუსეთთან საქართველოს შეერთების, ქართველი გლეხკაცობის მდგომარეობის, კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობის საკითხებს შეეხებოდნენ და სხვ.

ალ. ყიფშიძის (ფრონელის) ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა მაღალ დონეზე აქვს შეფასებული მის თანამედროვე დიდ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ექვთ. თაყაიშვილს, რომელიც ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: **„საზოგადოებრივი სამსახური, სამშობლოსთვის სარგებლობის მოტანა ალ. ყიფშიძემ დაიწყო დიდიანი უნივერსიტეტის გათავებისა. ის გახდა მუდმივი თანამშრომელი გაზეთ „ივერიისა“, რომლის რედაქტორი და გამომცემელი იყო ილია ჭავჭავაძე. ამ დროს ის განიცდიდა ილიას ზეგავლენას: გაღრმავდა მისი პატრიოტული გრძნობა, შემუშავდა მსუბუქი ქართული ენა და შეუდგა უბოლიცისტური სტატიების წერას. ამავე დროს ის დაეწაფა საისტორიო მასალების შესწავლას. ნამეტნავად მას აინტერესებდა უკანასკნელი ხანა ჩვენი ისტორიისა, რუსეთთან შეერთების საკითხი და პირველი დრო რუსეთის მმართველობისა საქართველოში. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე კარგი ენით დაწერილი გამოკვლევა და პოპულარი ბროშურა ამ ხანის შესახებ. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება თუ თავის ღვაწლად ალ. ყიფშიძისა ეს დარგი**

მიიჩინეთ მისი შრომისა. არა, მისი თავი ღვაწლი არის პრაქტიკული მუშაობა საქართველოს კეთილდღეობისათვის...“

მან კარგად შეისწავლა გლეხთა საკითხი და დანიშნულ იქნა მომრიგებელ შუამავლად ახალციხის მაზრაში. აქ მან შემოიკრიბა იქ მყოფი ქართველი ძალები, შეაკავშირა შეუკავშირებელი და გააჩაღა ქართველი საკულტურო საქმეები. ყველას კარგად მოგეხსენებათ თუ როგორ ჩამორჩენილია ძველი მესხეთი და ჯავახეთი სხვა საქართველოს ნაწილებს ეროვნულს შეგნებაში და საკულტო საქმეებში. ალ. ყიფშიძემ განაახლა და განაგრძო ის შრომა, რომელიც დაამკვიდრა ანნა ბესარიონის ასულმა მუსხელიშვილსამ პირველი ქართული სკოლის დაარსებით ახალციხეში. მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ დასტოვა ახალციხე, ახალციხის და ახალქალაქის მაზრის ქართველები ხშირად მოდიოდნენ მასთან და რჩევას კითხავდნენ საზოგადო და კერძო საქმეების შესახებ და მათი ხელმძღვანელი და მრჩეველი ყოველთვის ალექსანდრე იყო“. (იხ. გ. ა. „საქართველო“, N137, 1916 წლის 21 ივნისი, გვ. 1).

წინამდებარე წერილში ალ. ფრონელის მრავალფეროვან შემოქმედებაზე საუბარს აღარ გაავრცელებთ და მოკლედ მივუთითებთ იმაზე, თუ რა ადგილი ეთმობა მესხეთის თემას მის შემოქმედებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალ. ფრონელს თითქმის ხუთი წელი (1900-1905) მოუწია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მომრიგებელ მოსამართლედ სამსახური. თავისი პირდაპირი მოვალეობის გარდა, მან, იმთავითვე, დიდი დაინტერესება გამოიჩინა ამ კუთხის მიმართ და თავისი შთაბეჭდილებების გაზიარება დაიწყო ქართული პერიოდული გამოცემებისათვის. უპირველესი, რაც მის მამულიშვილურ

მამის დანიწყო, როცა ოსმალეთის მფლობელობის დროს, მთავრობის მოხელეობამ ხალხს ოსმალურად დაუნყოფი ლაპარაკი და ზიზღით უყურებდა ქართულს, როგორც არამუსლიმანურს ენას... თვით სახელწოდება „ქართული“, სასირცხვილოდ შეიქმნა... ამიტომ ქართული ენის აღდგენა, განახლება ხალხის მენსიერებაში ჯერ კიდევ მთლად არ ჩამქრალის მოგონება საქართველოს ერთობისას, და, მასწავლებელს, მკვიდრნი ზნეობრივ საქართველოსაკენ დაინყებენ ლტოლვას, ისე როგორც ახლა მიიღებენ ოსმალეთისაკენ, რომელთანაც მათ ენა და სარწმუნოება აერთებთ. გარდა ამისა, ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ხალხის წარმოდგენით და გონებით ოსმალური ენა და მუსლიმანობა განუყრელია და ერთსა და იმავესა წინიშავს, ისე როგორც ქართული ენა და ქრისტიანობა განუყრელი ხალხის გონებაში“. გამომდინარე აქედან, ე. ვედენბაუმს მიაჩნდა: რომ ქართული ენის აღდგენით განყდებოდა და მოსპობოდა ერთი იმ კავშირთავანი, რომლებიც მკვიდრებს სამუსლიმანო იდეასთან აერთიანებდათ... „მე მხოლოდ ის მსურს, – აღნიშნავდა იგი, – როცა მთავრობის მოხელეები ხალხთან ზეპირად თუ წერილობით საქმის დაჭერას მოინდომებენ მათ ქართულად ელაპარაკონ და ეს სავესებით საკმარისი იქნება. ქართულის დაინყება თუ იმის გამო მოხდა, რომ ოსმალის ბატონობის დროს საჭირო აღარ იყო ამ ენის ხმარება, ესაა იოლად აღსდგება იგი, როცა მკვიდრი ქართული მოსემენს და გაიგონებს თავის უფროსებისაგან. რაც უნდა მოხდეს, თავის დროზე ქართულიდან რუსულზე გადასვლა უფრო ადვილი იქნება, როგორც ქრისტიანული ენიდან ქრისტიანულზე, ვიდრე ოსმალურიდან რუსულზე, რადგან ეს ორი ენა ხალხის თვალში სარელიგიო იდეას წარმოადგენს“-ო.

# „ღირსეული მამულიშვილი“

თავისი რწმენით იგი ზომიერი ლიბერალიზმის წარმომადგენელი იყო როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ საკითხებში... თუმცა, მისთვის ყველაზე უმთავრესი სამშობლო ქვეყნის ინტერესების გულწრფელი სამსახური იყო; სამოქმედო დევიზი კი: „სიყვარული მოყვასისა, მოყვასისათვის თავგამოდებული ზრუნვა, უწყვეტ რეხელი პატიოსნების და სანატრელი ზნეობის თვისებით გატარება ცხოვრებისა და ამით მაგალითის მიცემა ყოველისათვის“ (თ. სახოკია).

ალ. ყიფშიძე (ფრონელი) თავისი არც თუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, როგორც მწერალი, უბოლიცისტ და ისტორიკოსი, ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. გარდა ათეულობით სავაზეთო და საჟურნალო სტატიისა და წერილისა, მის კალამს ეკუთვნის ცალკე წიგნებად დასტამბული საყურადღებო გამოკვლევები საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე. მათ შორისაა: „მთიულეთი – 1804 წელი“ (თბ., 1896 წ.), „ამბოხება კახეთისა – 1812 წ.“ (თბ., 1907 წ.), „მთის არწივი, შამილი“ (თბ., 1914 წ.), „დიდებული მესხეთი“ (ტფ., 1914 წ.) და სხვ.

ალსანიშნავია, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი გამოკვლევა დღემდე ინარჩუნებს მაღალ სანდობას და სამაგალითოდ რჩება ამ საკითხებზე მომუშავე ყოველი კვლევარისათვის. ეს, ალბათ, იმითაცაა განპირობებული, რომ ალ. ყიფშიძეს პირველს მიეცა საშუალება, თბილისის საგუბერნიო სამმართველო საკრებულოს მდივნად მუშაობის დროს, უშუალო შეხება ჰქონოდა ამ დანესებულების არქივში დაცულ მასალებთან, რომლებიც რუსეთთან საქართველოს შეერთების, ქართველი გლეხკაცობის მდგომარეობის, კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობის საკითხებს შეეხებოდნენ და სხვ.

ალ. ყიფშიძის (ფრონელის) ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა მაღალ დონეზე აქვს შეფასებული მის თანამედროვე დიდ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ექვთ. თაყაიშვილს, რომელიც ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „საზოგადოებრივი სამსახური, სამშობლოსთვის სარგებლობის მოტანა ალ. ყიფშიძემ დაიწყო დიდიანი უნივერსიტეტის გათავებისა. ის გახდა მუდმივი თანამშრომელი გაზეთ „ივერიისა“, რომლის რედაქტორი და გამომცემელი იყო ილია ჭავჭავაძე. ამ დროს ის განიცდიდა ილიას ზეგავლენას: გაღრმავდა მისი პატრიოტული გრძნობა, შემუშავდა მსუბუქი ქართული ენა და შეუდგა უბოლიცისტური სტატიების წერას. ამავე დროს ის დაეწაფა საისტორიო მასალების შესწავლას. ნამეტნავად მას აინტერესებდა უკანასკნელი ხანა ჩვენი ისტორიისა, რუსეთთან შეერთების საკითხი და პირველი დრო რუსეთის მმართველობისა საქართველოში. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე კარგი ენით დაწერილი გამოკვლევა და პოპულარი ბროშურა ამ ხანის შესახებ. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება თუ თავის ღვაწლად ალ. ყიფშიძისა ეს დარგი

სულისკვეთებაზე დამთრგუნველად მოქმედებდა, ამ ისტორიული მხარის უციდურესი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მდგომარეობა იყო, რასაც აქაური ქართველი მოსახლეობის დაბეჩავება-გადაგავრების გზაზე დაყენება გამოეწვია. რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო, სიკვდილის პირამდე იყო მიყვანილი მშობლიური ქართული ენა; შეუწყნარებლობა და გაუტანლობა დამკვიდრებული სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქართველთა შორის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა უცხოტომელთა მასპინძლად გახდომის რეალურად განხორციელების საქმეს...

იმ ხანებში, როცა ალ. ყიფშიძე (ფრონელი) ახალციხეში თავისი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა, თბილისში ერთი მეტად საინტერესო წიგნი დაიტყდა სათაურით: **„Кавказские этюды, Изследование и заметки Е. Г. Вейденбаума“**.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ოპერატიულად გამოეხმაურა ამ ფაქტს და გამოაქვეყნა რეცენზია, სათაურით:

„საყურადღებო წიგნი“, რომლის ავტორი „არავინ“, იგივე ალ. ყიფშიძე იყო. რეცენზენტი მალე შეფასებას აძლევდა ხსენებულ გამოცემას და აღნიშნავდა: **„წიგნი, რომელიც მოგზაურული წარკვევების კრებულს წარმოადგენს და თემატურად მრავალფეროვანია, ქართველი მკითხველისათვის საინტერესოა იმით, რომ ცნობილი რუსი მოხელე და მწერალი დიდ ადგილს უთმობს ბათუმიდან-ართვინამდე მცხოვრებ მამადაიანი ქართველების ყოფა-ცხოვრების აღწერას და არაერთ მოსაზრებას გამოთქვამს მთელ რიგ საჭირობოტო საკითხებზე; რომ ეს უცხოტომელი კაცი ერთი საუკეთესო, გონიერი და დაკვირვებულ მცოდნე კავკასიის სხვადასხვა ტომთა ისტორიისა და ეთნოგრაფიისა“, ობიექტურად აფასებს იქ არსებულ სინამდვილეს და გონიერულ რჩევებს აძლევს რუსეთის ხელისუფლებას, თუ რა უნდა იღონოს მან 1878 წლის ომით შემოერთებული ამ მხარის შემომტკიცებისათვის. ალ. ყიფშიძე „იზიარებდა წიგნის ავტორის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საკითხის მოგვარებაში უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეეძლო ქართული ენის გამოყენებას ადგილობრივ მცხოვრებლებთან ურთიერთობისას“** (იხ. „ცნობის ფურცელი“, N1442, 1901 წლის 21 აპრილი).

რეცენზენტი განსაკუთრებით გამოყოფდა ე. ვედენბაუმის იმ მოსაზრებას, რომ მთელს ამ მხარეში აუცილებელი იყო **„ოფიციალურ ენად ქართული გამხდარიყო“**, და მართებულად მიაჩნდა, ამ მოთხოვნისადმი გაკეთებული მისივე განმარტება: **„ქართულის დაინყება**



რეცენზენტი კიდევ აგრძელებს ე. ვედენბაუმის მოსაზრებათა ციტირებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული ენა ყველაზე წმინდად და ხელშეუხებლად შენახულია იმ ადგილებში, სადაც ოსმალეთის მთავრობა ამ ქვეყანას ადგილობრივი ბეგების მეშვეობით განაგებდა და რომ ეს ფაქტი დამამტკიცებელი იყო იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა ხალხზე იმ ენას, რომელსაც მოხელენი (ამ შემთხვევაში ბეგები - გ. ს.) ლაპარაკობდნენ. ეს მნიშვნელოვანი საქმე სიფრთხილით და, რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს, ვინაიდან ოსმალური ენა მეტისმეტად სწრაფად ვრცელდებოდა... ე. ვედენბაუმი, ეს ჭკვიანი და დაკვირვებული რუსი მოხელე, თვითმპყრობელურ ხელისუფლებას აფრთხილებდა, რომ აღარ გაემეორებინა ის შეცდომა, რომელიც მან 1829 წელს ახალციხის მაზრაში შესვლის დროს ჩაიდინა, როცა არ იცოდა, ან დაივიწყა, რომ **„მაზრაში ბევრი გამაპაძიანიებული ქართველი ცხოვრობდა და რადგან ისინი ოსმალურად ჩათვალეს, ლაპარაკი ოსმალური დაუნყეს. შედეგად მალე მივიღეთ: ქართული ენა უკავიათ გაქრა და მას შემდეგ ჩვენც იძულებული ვართ, ოსმალეთთან ომის დროს, შიშის ქვეშ ვიყენეთ – ვაი თუ ჩვენმა მოსაზრებებმა გამაპაძიანიებულმა ხალხმა გვეღალატოსო“** (იქვე).

წიგნის რეცენზენტი **„არავინ“** (ალ. ყიფშიძე) ე. ვედენბაუმის ამ მოსაზრებას ასეთი კომენტარს უკეთებს: **„სიტყვა-სიტყვით მოყვანილს ადგოვს ბევრი განმარტება“**





ალარ ესაჭიროება. დედა-ზრ... ალარ ესაჭიროება. დედა-ზრ... ალარ ესაჭიროება. დედა-ზრ...

ხეთი" ამხსნილებს ყურადღებას და მიუთითებს, რომ "უხსოვარი დროიდან დაბინძურებულან ებრ... ხეთი" ამხსნილებს ყურადღებას და მიუთითებს...



მესხეთზე მზრუნველ და მისი ჭირ-ვარამის გამაზიარებელ ქართველ მოღვაწეთა შორის

წარსული და აწმყო; მასში გაისმოდა პატრიოტ... წარსული და აწმყო; მასში გაისმოდა პატრიოტ... წარსული და აწმყო...

საზოგადოების ახალციხის განყოფილების და ახალციხელ ქართველებისა (ხელ-ლი სტუ... საზოგადოების ახალციხის განყოფილების...

# ლიტერატურულ "უბრის"

ლი" სახელის გათახსილებას ეხლაც დიდად ვუ... ლი" სახელის გათახსილებას ეხლაც დიდად ვუ...

ალ. ფრონელის მოხსენიება, პირველ ყოვლისა... ალ. ფრონელის მოხსენიება, პირველ ყოვლისა...



ნაურთა ნინამძლეობა, თბილისის გუბერნიის... ნაურთა ნინამძლეობა, თბილისის გუბერნიის...

დაკრ- ძალვას ესწ- რებოდნენ: ქართლ-კახეთის მაზრების დაკრ- ძალვას ესწ...

ალსანიშნავია, რომ ახალციხელი ებრაელები... ალსანიშნავია, რომ ახალციხელი ებრაელები...

ალ. ფრონელის მოხსენიება, პირველ ყოვლისა, განპირობებულია მისი ლირებული ნაშრომით... ალ. ფრონელის მოხსენიება, პირველ ყოვლისა...

სიტყვები ნარმოსთქვეს: სპ. კედიამ, ია ეკა-... სიტყვები ნარმოსთქვეს: სპ. კედიამ, ია ეკა-

დაცვალონა. იგი თავისი კეთილ-სინდისიერი მუ-... დაცვალონა. იგი თავისი კეთილ-სინდისიერი მუ-

მათი დიდი და სამშობლო ენა ნამდვილი ქარ... მათი დიდი და სამშობლო ენა ნამდვილი ქარ...

მეორე გარემოება ისაა, რომ გამაპმიადი-... მეორე გარემოება ისაა, რომ გამაპმიადი-

ალსანიშნავია, რომ ალ. ყიფშიძის ღვანლის... ალსანიშნავია, რომ ალ. ყიფშიძის ღვანლის...


აღმსრუტე და მამულიშვილური ღვანლი შთამბეჭ-... აღმსრუტე და მამულიშვილური ღვანლი შთამბეჭ-

ებრაულ თემზე ალ. ფრონელი მოგვიანე-... ებრაულ თემზე ალ. ფრონელი მოგვიანე-

ცნობრივ ქართველ მოღვაწე, დავით ვარ-... ცნობრივ ქართველ მოღვაწე, დავით ვარ-

აქვე და ახალციხის ციხის განყოფილების... აქვე და ახალციხის ციხის განყოფილების...

# შიინდლის, ჯაჭაცობისა და მანდილის ინსტიტუტის ალტერნატივის ძეგლის ქაღალდი



ვარ საზრუნავად აკი სამშობლო და ქართველი ერის კეთილდღეობა იქცა.

მწერალი დიდ პატივს სცემს წინაპრებს და სურს, მათი სული, მათი მაღალი, თანამედროვე ახალგაზრდებში დაინახოს. შემთხვევითი არ გახლავთ ის გარემოება, რომ ნიგნის ნაშრომები აქვს თავისი პაპის – ისაკ მალრადის ლექსი. ნიგნის ასახული ამბების უმრავლესობაც, სწორედ ისაკ მალრადის ნაშრომებია. ამიტომ წერს იგი „მთელი მარე რაინდების“ წინათქმაში: – „ჩემთვის და, ალბათ, ყველა ადამიანისათვის დიდი ფუფუნებაა, იზრდებოდე ან ჭკუის დამრიგებელი გყავდეს ისეთი ადამიანი, როგორც ჩემი პაპა იყო“.

ნიგნის რედაქტორმა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ ნიგნის ნარდგინებაზე სწორედ ამიტომ აღნიშნა: „ყველას არ შერჩენია თავისი მამულის, მიწის სახლის სიყვარული. პატონ ზელიძისა ეს პედიკურება აკენიდანვე დაწყება, ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ მან თავისი პაპის მინაწერი, ნიგნის ყდაზე გამოიტანა. ე.ი. პაპიდან შვილზე, შვილიდან შვილზე, შვილიშვილზე გადასულია ეს ყველაფერი. მაგრამ ასეთ დამოკიდებულებას ახლავს სერიოზული პრობლემა. საჭირო თუა ამ ყველაფერის ქაღალდზე გადატანა, უნდა იარო ბუნების ხიდზე, რომ ან წინაპრების, ან თანამედროვეების, ან მომავლის წინაშე არ გქონდეს ბოდიში მოსახდელო, მაგრამ ნიგნის ჩვენი წარსულის საოცარი ეპიზოდებია დაფიქსირებული“. და ... – „ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ, როგორ შეიძლება ადამიანი ნაკვეთცხლებზე დაყენო და ეს ადამიანი ცოცხალი გადარჩეს. არადა, ჩვენ ის თაობა ვართ, რომელიც ვიზრდებოდით ასეთ მაგალითებზე. ამიტომაც არის, რომ ხშირად ზელიძისას ემოციები წასცდება ხოლმე დღევანდლობასთან მიმართებაში და ისეთ რამეს წამოსწევს წინ, რომელიც ჩვეულებრივი რიგითი პროზაიკოსისათვის, თითქმის, არ უნდა იყოს საინტერესო. ერთი შეხედვით, ამ ფაქტების დამფიქსირებელი მწერალი უნდა იყოს რადიკალი. ამ ნიგნის მსგავსს ვერაფერს ვერ ნახავთ. ზელიძისა ადამიანი, უყვარს თავისი მასწავლებელი, მეგობარი, ახლობელი, ყოფილი, დღევანდელი, ხვალისდელი ახალგაზრდობა“.

ნიმანდობლივია, რომ ნიგნის შესული ნახატები ეკუთვნით ტარიელ და ავთანდილ ვართაგაევებს, რომლებმაც, როგორც ვთქვით, დიდი როლი ითამაშეს ზელიძისა მალრადის ცხოვრებაზე.

მწერლის შემოქმედება მიმოიხილეს განათლებუბის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გულიკო ბეჯაურმა, ამავე ფაკულტეტის პროფესორმა დალი ბეთხოშვილმა, დოქტორანტმა სოსო გიქოშვილმა, პროფესორმა ნატო ყრუაშვილმა, ასევე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა. დიდი სიყვარული და ღრმა პატივისცემა გამოხატეს მწერლის მეგობრებმა, – საქართველოს კაპელის მთავარმა დირიჟორმა და მხატვრულმა ხელმძღვანელმა გივი მუნჯიშვილმა, დირიჟორმა, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა ლია ლომიაშვილმა, პოეტმა ციური ასპანიძე-მესხიშვილმა, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ.

ნიგნის ნარდგინებას უძღვებოდა რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში – მაკა ბერიძე.

შემთხვევითი არაა, რომ ამგვარი სულის, პატრიოტულ მოტივებზე შექმნილი მოთხრობების ავტორის – ზელიძისა მალრადის პროზაული ნაწარმოები გახდა საბერძნეთში, ქალაქ თესალონიკში იქაური ემიგრაციის ხელმძღვანელობით გამართულ კონკურსში მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი.

„გმირი ყოველთვის გმირია, მარტო იქვე არაა, ან არენაზე, არამედ მთელი ცხოვრება. მეც მათი შემყურე დიდი სიყვარულით და სიმძაფრით აღვიქვი ჩემი მხარის გმირთა დგანლი და მკითხველამდე მოვიტანე. სულაც არ ვთვლი, რომ ვინმეზე მეტი ვარ, თუნდაც მირიანზე, კოლაზე ან ფრეკლეზე. დაე, იცოდეს მისმა ნაწიერმა, მათ შორის მეც, რომ მოყვასის გაცემა და მბეზღობა, დიდი და მოუწლებელი ცოდვაა, თუმცაა მონანიებადი. ქედს ვიხრი ყველა ქართველის წინაშე, ვინც ჩემი ქვეყნის, როგორც ტადრის, მთლიანობას ეწინააღმდეგება და ეწინააღმდეგება. მაღლობა ჩემს მოძღვარს მამა გაბრიელს“, – ბრძანებს ნიგნის შესავალ ნაწილში ზელიძისა მალრადი.

სწორედ ასეთი უბრალო, თავმდაბალი, ქვეყნისა და საკუთარი მხარის დიდი პატრიოტი მწერალი გაიქცა ფართო საზოგადოებამ ნიგნის ნარდგინებაზე.

ლია ზაზაშვილი

ამ დღეებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნარდგინება მოხდა ნიჭიერი მწერლის ზელიძისა მალრადის ახალი კრებულისა – „მთელი მარე რაინდები“. მწერლის პროზას იმ არქივიდან ნა-საზრდოები უწოდეს, რომელსაც ადამიანის გონება, თაობიდან თაობაზე ფაქტის გადაცემა ჰქვია. კრებულში წარსულის საოცარი ეპიზოდებია დაფიქსირებული, სადაც ნათლად ჩანს, რომ ავტორს საქართველო ძალიან უყვარს, მითუმეტეს, თავისი მშობლიური მხარე – მესხეთი. მის შემოქმედებაში გამოსჭვივის ერისა და სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ადამიანის ტკივილი, სევდა, მწუხარება, მაგრამ, ამავე დროს, იმედი, რომელიც სამომავლო გზებს სახავს. ასევე, უფლის სიყვარული, რომელიც ერთად კრავს და ერთ რგოლად ამოლიანებს წარსულს, აწმყოს და მომავალს. თითოეული მოთხრობით ავტორი ცდილობს მომავალ თაობებს დაანახოს ის დიდი მაღალი, რომელიც ახალგაზრდებს კვებავს და მას გაფრთხილება, მოვლა სჭირდება. პატონი ზელიძისა ადამიანებს მოუწოდებს სიკეთის და აღსარებისაკენ, რათა უკეთ შეიცნონ ღმერთი.

სხვაგვარი შეფასება არც შეიძლება ჰქონდეს მის შემოქმედებას. მან ამ კრებულთა კიდევ ერთხელ გააცოცხლა მშობლიური მხარის ისტორია, მარტივი ენით გადმოსცა იმ დიდი სიამაყის განცდა, რომელსაც თავისი ქვეყნის, თავისი კუთხის სიყვარული ჰქვია.

ზელიძისა მალრადის მოთხრობები სისტემატურად იბეჭდება გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე. მკითხველმა სწორედ ამ გაზეთიდან გაიცნო იგი, როგორც მწერალი. პატონი ზელიძისა მოთხრობით გაიხსნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალის – „არავის“ პირველი ნომერიც.

საინტერესოა მწერლის ბიოგრაფია. ზელიძისა მალრადი დაიბადა 1954 წელს ასპინძის რაიონის სოფელ ზედა თოგვიში. სწავლობდა ნაქალაქევის საშუალო სკოლაში. მან ბავშვობიდანვე დაიწყო მუშაობა ვანის ქვებების არქეოლოგიურ გათხრებზე, სადაც გაიცნო არქეოლოგთა მთელი ჯგუფი, რამაც გადამწყვიტა მისი ბედი. ცნობილია მწერალმა, მეცნიერმა და მხატვარმა, ავთანდილ ვართაგაევმა და მისმა მეუღლემ ლიანა ბეგიშვილმა მე-9 კლასის დამთავრების შემდეგ ნაიყვანეს თბილისში და იგი იზრდებოდა ისეთი ცნობილი მოღვაწეების მეთვალყურეობის ქვეშ, როგორებიც იყვნენ კოტე და ვასილ ვაგრიშვილები, ლევან გოთუას, ვახტანგ ბერიძე, მიხეილ რჩულიშვილი, მისი მეუღლე მარია ნიჟარაძე, ნოდარ ანდლუაძე, თეიმურაზ (თემიკო) ჭიჭინაძე. მომავალმა მწერალმა საავიაციო ქარხანაში ორი წელი იმუშავა თვითმფრინავთმშენებელი ინჟინრის სპეციალობით, ასევე სხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია საპორტულ სარბიელზე, – იყო სიმძიმეების აწევაში ევროპის ჩემპიონი... ვახტანგ ბერიძის დახმარებით კი ხელი მიჰყო ეკლესიების რესტავრაცია-მშენებლობის საქმეს. პირველად 13 წლის ასაკში დაუწყო ლექსების წერა, მოთხრობების – მოგვიანებით, – თითქმის 50 წლის ასაკში.

საქართველოს კაპელის მთავარ დირიჟორს და მხატვრულ ხელმძღვანელს გივი მუნჯიშვილს ნიგნის – „მთელი მარე რაინდები“ ნაკითხვის შემდეგ მისთვის უთქვამს, – კრებულში ლევან გოთუას სულს ვხედავო. მართლაც, ლევან გოთუას გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, მის მიერ ნათქვამი ფრაზა: – „არავითარი ბედნიერება არცა მნადს, არცა მნადია, უკეთუ, იგი სამშობლოს ხარჯზე იქნება“, – ცხოვრების კრედიო გაიხსნა დამწყებმა მწერალმა და მის მთა-

„მწერალი ადამიანის სულის ინჟინერიო“, – სამართლიანად უთქვამს დიდ ქართველს. მწერლობა თვითნაბადი ნიჭით დაჯილდოებული ხვედრია და მათი სიტყვა – ბასრი იარაღი, რომელსაც ძალუძს დიდი სულიერი საზრდო მიაწოდოს ადამიანებს, ურომლისოდაც კაცობრიობის განვითარება შეუძლებელია. ადამიანთა სულიერი სამყაროს გარდაქმნა მწერლის უცილობელი მოვალეობაა და, ამდენად, მის სიტყვას განუსაზღვრელად დიდი ძალა აქვს. უნიგნურობა – უსწავლელობა და გაუნათლებლობაა, რომელსაც ქვეყნისათვის არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლია. სამწუხაროა, რომ ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვანწილად დაგვაკარგვინა ნიგნისადმი ინტერე-

და იმედის მომცემა.

მესხეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების კულტურის სამსახურების მხარდაჭერით, თითქმის ყველა ადამიანისთვის ცენტრში, ახლახან, საინტერესო შეხვედრები მოეწყო დედაქალაქიდან მოწვეულ მწერლებთან და პოეტებთან, ისინი მკითხველი საზოგადოების წინაშე თავიანთი ახალი შემოქმედებით წარსდგნენ. ჯგუფში შედიოდნენ პოეტი მარია ნიკოლაური (ჯგუფის ხელმძღვანელი), პოეტი და მთარგმნელი ვასილ გულუერი, გაზეთ „კალმასობის“ რედაქტორი, პოეტი და პუბლიცისტი შარლოტა კვანტალიანი, მწერლები ცირა ბარბაქაძე, ნატო დავითაშვილი და ირაკლი შამათავა.

ხელისუფლების მხრიდან მსგავსი



## უფრო აქტიური გავხდეთ

სი, რაც კატასტროფული შედეგების მომტანია და ძალიან ბევრი მიზანმიმართული მუშაობა გეგმავთებს ამ პირობებში დაძლევისათვის.

მისასალმებელია, რომ საქართველოს ძველთა დაცვისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ფრიად მისაბამ პროექტს ჩაეყარა საფუძველი და უკვე მეორე წელია ქართველი მწერლები სტუმრობენ საქართველოს რეგიონებს და მკითხველებთან პირდაპირ, ცოცხალ შეხვედრებს მართავენ, რაც ნიგნისადმი გარკვეული დოზით დაინტერესება მიინც ხდება.

ავთანდილ მესხი

## სამცხე-ჯავახეთში ფარცელოები თურქოლოგის სწავლები

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. №3-5 2016 წ.)

ზ ბარმაცისათვის ყოველი დღე ზემოაო. ზაფხულში აბანოში წავედი და გზები ყინულით შემეკრაო. ზაფხულ-ზამთარი წინ გიდევის და მოთმინება მაინც არ გყოფნილო. ზოგი ქალი სახლს ააშენებს, ზოგი კი აშენებულსაც დაანგრევსო. ზღვა კოვზით დაიღვავაო.

თვალთ დაუნახავ ხიფათს ერიდო. თავის შთამომავალი გუდას დასჭრისო. თავს მოხვეული ჭკუა ჭკუა არ იქნებაო. თან კვიცს ვახეფი და თან ბიძას ვინახულებო.

თაფლის გამყიდველი თითს გაილოკავსო. თევი თაგიდან ყროლდებო. თევი წყალში (ე.ი.) როგორ შეფასდებო. თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდებო. თვალი ვინ გამოგთხარაო და სვინამაო.

თვეში თუ წელიწადში ერთი ნამაზი მაქვს და იმასაც ეშმაკები არ მაცლიანო. თვალს ნანახისაგან შეეშინდებო. თვითონ ნამქვევი არ იტირებსო. თითო დაცხიკინებაში თითო ხე-ირიო. თოვლი მთის შესაფერისადო. თოვლი რომ მოვა, ფეხს შესცივდებო. თოვზე ფეჯილს ნუ გაფენო. თუ კაცს გულს ვერ მოუგებ, ნუ დაგესლავ და ნუ დაამსხვრევო. თუ მეჩეთს სჭირდება, მედრესე-სათვის არამიო. თუ ინვიმა, ჯან სარო, თუ არა და, ვაი საროო (სარო სოფელია ჯავახეთში). თუ შეიცყო, მტერი გჯობის, განზე გადაქეო. თხა სადაც ავიდა, თიკანიც ავაო. თხა სიცოცხლეზე ფიქრობდა და ყასაბი ქონხეო. თხას რომ სიკვდილი მოუნდებო, მწყემსის ჯოხს გაეხახუნებო.

ჩაინერა

არსენ კარაპეტიანმა 1989 წელს. მოგვაწოდა ნარცის კარაპეტიანმა 2016 წელს

გაგრძელება იქნება



# პორფირა ოქროვლიძე

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. №2-5, 2016)

და მე წავედი, წავედი, წა-ვე-დი-იიი. .... ქვიშრობიდან კიდევე ერთხელ გამომვხედა ჩემს სოფელს, ვახსენე ღმერთი და საძაღლიას ხევისკენ დავემევი. წინ საჯვარის აღმართი... კიდევ ხუთი სოფლის ტერიტორია მაქვს გასავლელი. ტყე-ტყე, ხევ - ხევ უნდა მევილო საზღვრამდე. იქამდე კი ოცდახუთი კილომეტრია. ორ საათამდე ურავლის ხეობას უნდა გავცვალო, თუ არა და, დაგვიანებით, ჩეკისტებს გზაში გადავყვები. ურავლის სიახლოვეს, ფულის გადაღმა, მარიალის შემოხედა. ბევრი არ გვისაუბრია. ეს ის ქალია, რომელსაც, ერთ დროს, მე სიყვარულზე უარი ვუთხარი. როგორც მოგვიანებით გახდა ჩემთვის ცნობილი, სწორედ მან მისცა ჩეკისტებს ჩემი მოძრაობის მიმართულება, რაც საფუძველი გახდა იმისა, რომ მათ სასაზღვრო დაცვა კიდევე უფრო გაძლიერებინათ თავიანთი შემადგენლობით.

ცოტა ხანში, ურავლის განებში, ჩეკისტები ცხენებით გამოჩნდნენ. სულ რვა დღეთადაა. ხუთ წუთში ისინი უკვე აქ იქნებოდნენ. მე იქვე, შინიდან ფერდობზე, გადავეშვი და ხშირ ბუჩქებში მივიმალო. ცოტა ხანში ცხენების თქარათქური მომესმა. მერე ბუჩქებიდან გამოვიდნენ და მდინარისკენ დავემევი. მარტო ვარ, ბედის ანაბარა. ხეობისკენ მიმავალ ბილიკს ავუყვი. ყურადღება გაათმავლებული მაქვს. ტყის პირს მივალნი და ვეხებით ამოვიტყუებ. გზაში არავინ შემხედვარია. აქ ტყე დამიცავს ამაღამ. ახლოს მდინარეა. ნყურვილს მოგვიანებით მოვიკლაკვ.

დღით სიცივემ გამომალღიძა. უკვე შემოდგომაა და მზე გვიან ამოდის. აღრიანად ურაველს დავადექი თავზე. ნაძვის ძირში ვზივარ და გზას გავცქერო ფიქრებში ნახული. ვხედავ, შორს, მოსახვევში, ვილატ გამოჩნდა. მხარზე რალაცა ვკიდი, იარაღს მივამსვავს. მეჩვენება თუ მართლა ასეა. მოშორებით კიდევ ერთი გამოჩნდა, იგივე ფორმით. მერე მესამე, მეოთხე და კიდევ და კიდევ. ეს უკვე განგამის ნიშანს ჰგავს, კი არ ჰგავს, ასეა. ხშირ ბუჩქებს ამოვფარე და მივსურადა. ჩეკისტები იყვნენ. ისინი იქით წავიდნენ, საიდანაც გუშინ მე აქამდე მოვედი. სვლა ველარ გავხედე. წინ საფრთხე უფრო დავიხანხე, ვიდრე გამოსავალი. მერე მეც პირი ვიბრუნე და ჭობარეთისკენ გავემართე სირბილით. მანამდე მაჭიხეთის ბაღები უნდა გამეკო. იქ მისვლამ იმედი მომცა. ცხენის ჭიხვინი შემომესმა შორიდან. ახლოს მისულმა, ქოხთან ცხენიც დავინახე. ეს უნდა გამოვიყენო, ღმერთის საჩუქარია.

უკვე გვემებს ვანყობ. ცხენი მყავს, უნაგირს ვინლა დაქვებს. პური გამოშლია. აქ, ბაღებში, ბევრია ხილი, მით უმეტეს, ვაშლი. ცოტას დავენაყრდები მაინც. მჯერა, ცხენი გამოადვილებს გადაადგილებას. ასე დროშიც მოვიგებ, სხვა პრობლემებსაც მომიხსნის.

ქოხში თუ არის ვინმე? თუმცა, ამ დროს, აქ ვინ იქნება? მაგრამ, ცხენს ვინ-ღა დატოვებდა ამ ღამით გარეთ. პატრონი თუ აქ არის, ცხენს არ დამანებებს. არც ძალით ნართმევა ღირს.

ამ ფიქრებში მივსახლოვდი ქოხს. ცხენიც იქვეა, ბალახობს. ჩემს დანახვაზე დაიფრუტუნა. ახლოს მივედი, შევხედე, კოჭლობს საცოდავი. მოვეცურე სამკლეს, ესხა მართლა უბედურს. იმედები გამიქრა. ესხა მე მასზე საცოდავი ვარ. ნეტა თუ ხვდება რამეს. ალბათ, პატრონმა არ ისურვა მისი წვალებით სახლში წაყვანა და აქ მიატოვა უფლის ამარა. ასე ხდებოდა ხოლმე. ქოხში შევუდი, იქნებ სასუსნავს წაიწყდე რამეს. ნასუფრალი დამხვდა მხოლოდ. იქვე ხის შორზე ჩამოვჯექი. უკვე მწარედ განვიციდი შიმშილს. ასეთი რამ, ჯერ არ გამომიცდია.

ასეთ ყოფაში ოქტომბერიც მიილია. მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე დავდივარ მშიერი მგელივით, მაგრამ, არავის ვერჩი, არც არავის ვენახებები. პურის მომწოდე-

ბელი არავინ მყავს. ფულს ვერაფერში ვიყენებ. 3000 მანეთი და 500 მანეთის ობლიგაცია, ეს არის ჩემი საგზალი. რამდენჯერმე საზღვრისაკენ გავედი იმ გზებით, საითაც ბევრჯერ მივლია და ჩემთვის, ასე თუ ისე, ცნობილია მაინც, მაგრამ ყოველთვის გარდაუვალ საფრთხეს ვაწყვები.

ერთ დღესაც ვზივარ ზედა ვაკის მიდამოებში მშიერ-მწყურვალში, ჩემთვის ბუჩქებში ჩამალული და გავცქერო ახოს. ცხვრის ფარამ გადმოიარა. ნეტა ვინაა მეცხვარე. აჰა, ისიც გამოჩნდა თავის ძალიანად. თედორ ქურდაძეა. თითქმის ჩემი ასაკის ბიჭი. მცირედი ყანისკენ წავინიე. ჩემგან ას მეტრში იქნება, ალბათ. არა, ნახვა არ ღირს. არადა, როგორ მაინც ტერესებს ყველაფერი. შვიდი დღე გავიდა წამოსვლის მერე. ბიჭები როგორ არიან. ან ჩემიანების ამბებს ვისგან გავიგებ. ან ომის საქმე როგორ მიდის. ვინ მოდის, ვინ მიდის.

არა, არ ღირს თედორეს ნახვა. მან შეიძლება გამოვიც, მაგრამ ვაი თუ საფრთხე შევუქმნა ჩემი შეხვედრით. აქ დაზღვეული არავინაა, თითოეულ ხესაც თვალყური აქვს და ვინ იცის, სად გამოყოფს თავს მგელი თუ მგლის ფერი ძალლი.

ვხედავ, ცხვრის ფარა ჩემსკენ წამოვიდა და როცა მომიახლოვდა, უნებურად ხველება ვერ შევიკავე, ცხვარი დაფრთხა და პირი იბრუნა. თედორემ გამოიხედა და თითქოს რალაცა ენიშნა. ჩემსკენ გამოინიშნა და შემომძახა. მერე შედგა და კარგა ხანს ჩაფიქრებული თვალს არ მაცილებდა. ჩემი აზრით, თითქოს ვერ უნდა მხედავდეს. მაგრამ, რა ხდება, ხელით რალაცას მანიშნებს. ტოპრაკი მხრიდან გადმოიღო და ჰაერში დაატრიალა. უკან გაბრუნდა, იქვე მდგომ კუნელის ბუჩქთან გაჩერდა. ისევე ჩემსკენ გამოიხედა, ისევე რალაცა მანიშნა და ტოპრაკი კუნელის ტოტზე დაკიდა. რა თქმა უნდა, მივუხვიდი ჩანაფიქრს. მერე ცხვრის ფარა ხევისკენ მიაჩერა და თვითონაც ხეცს გადაღმა გაუჩინარდა.

რა იყო ეს? ცხოვრება მცდის, თუ ადამიანობის რეალურ სახეს მარყუენებს. მაინც საიდან იწყება და სად მთავრდება ადამიანთა შორის სანდობის ამოუცნობი ნიშანი. ღმერთო მაღალო, მაცნე ნება შენი, რამეთუ, ასეთ დროს, კიდევ არიან კაცნი, თუმცა, არა მეგობარნი და არცა ძმანი, რომელთა შესწევთ ძალა, მეგობრობის და ძმობის უღლის ტარებისა, რომელიც არ შეუშინდება და დევნილობაში მყოფს, მძიერსა და მწყურვალს თავის ლუკმას გაუყოფს. მადლობა უფალო, მადლობა, ძეგო თედორე!

მშვიდი განა რამდენ ხანს მოვიტმენ-დე კიდევ. თანაც, ვხედავდი ჩემს წინ ხეზე მოქანავა უფლის საჩუქარს. ამიტომ, ფრთხილად მივედი კუნელის ხესთან, ჩამოვხსენი ტოპრაკი და ჩემთვის განკუთვნილ საჩუქრთან და ისევე სამალავში დავბრუნდი. ტოპრაკში თითქმის ნახევარი სომინი პური და ცოტა ყველი აღმოჩნდა. მეც ხომ სხვა არც არაფერი მიწოდდა ამ წუთს. განა მშვიდი, მწყურვალნი ჩემს მდგომარეობაში მყოფი, თავს და შარბათს ინატრებს კაცი? პური ჩემი არსობისა მომცა მე დღეს უფალმა. ეს უნდა გამოვიზოგო, ვიდრე სხვა გამოსავალს მოვძებნი. ასეთი რამ აღარ განმეორდება. საღვთო შეხვედები მე სხვა თედორეს, ან თუნდაც ისეთ კაცს, რომელმაც ამ მცირე საჩუქრით, რამდენიმე დღით დამაპურა.

მომდევნო ორი დღე ღობეთის, მართლიეთისა და პატარაღვლის სანახებში, მინდვრებსა და ხევ-ღელეებში ვიმალეობდი. ერთი ღამე ამალღების ეკლესიაში მომიწინააღმის თევამ.

თურმე, რა ძნელი ყოფილა, თუნდაც ფიქრი სიცოცხლის გადარჩენაზე, რომ არაფერი ვთქვათ, გადარჩენისთვის შესაბამის გათვლიწინებულ თუ გაუთვალისწინებულ მოქმედებებზე. სწორედ მოქმედებები განსაზღვრავს ადამიანის სულიერ საიდუმლოებებს. მეც ამ საიდუმლოებებში ვმოქმედებდი, თუმცა, ფაქტური სიტუაციები ხშირად ამ ქმედებების რეალიზაციას მიზღუდებდა ხშირად.


ვფიქრობდი ოჯახზე, დედ-მამაზე. მათ ხომ არაფერი იცოდნენ ჩვენი საქმიანობის შესახებ. ამისთვის ხომ იმათაც პასუხს

მოსთხოვდნენ. მეცოდებოდნენ, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. ესხა ძალიან შორს დარჩა მათ მიერ ნაჩვენები ის გზები, რომელთა გავლაზე, თავის დროზე, უარი მითქვამს.

ბიჭებს დაიჭერდნენ, ალბათ. მათი დავითხვევიც იქნებოდა და, ამასთან, ერთი ვაი-ვიძიც.

ამ გაჭირვებაში საკვების გარეშე, მაინც ღვთის ძალით, ასე თუ ისე, ძალღონეს ვინარჩუნებდი. თურქეთში გადასვლის იმედი გამიქრა. მაშინ თურქეთი გერმანიის სატელიტი სახელმწიფო იყო

# ფიქრები დასასვრება საკანო



და მასთან საზღვრების დაცვაც შესაბამისად გაძლიერებულ რეჟიმზე იყო გადაყვანილი. ამიტომ, ჩემი ფიქრები ომის მონალოდნულ შედეგებს უტრიალებდა. მანამდე კი, როგორღაც, ქალაქამდე უნდა მიმეღწია. ფული კი მქონდა, მაგრამ ქალაქში გამოჩენა, თუნდაც გარეგნულად იერმეცხილი, სახიფათო იყო ჩემთვის. მერე თბილისისკენ მომიხვედა წასვლა. ასე ტყე-ტყე სიარული არ გამომადგებოდა.

თუმცა, ყოველივე უკან დარჩა, როცა ერთ დღესაც, ხუთ ნოემბერს, პატარაშენის სამალავიდან გამოვიედი და პირის დასაბანად ხევი ჩავედი. ამოვბრუნდი და შორიდან ძაღლის ყეფის ხმა მომესმა. აქედან ჩემი სოფელი არც თუ შორსაა. ამ დროს აქ საქონელს ან ცხვარს თუ გამოირეკავდნენ საძოვარზე, თორემ ძაღლს აქ ისე რა ესაქმება. პატარა გორაკი გადავიარე და, ვაი ჩემს თავს, რას ვხედავ... ალბათ, იქნებოდა ოთხმოცი - ასი კაცი მაინც, მტკვრის მარცხენა ნაპირიდან მცირე მანძილით დაშორებულნი შეფენილან მთებისკენ და აქეთ, ჩენსკენ მოემართებიან. რამდენიმე ცხენოსანიც შევნიშნე. ტანში ყრუსტელმა დამიარა. როგორც ჩანს, ჩემი სოფლის მთელი მოსახლეობა გამოიყვანეს ჩემს შესაპყრობად, მიზნური თუ გარეული.

ფიქრის დრო აღარ მრჩებოდა და მეც მდინარე მტკვრისკენ დავემევი. იმ მანძილზე არიან ჩემგან, რომ შეამჩნიეს ჩემი მოძრაობა და თოფის სროლის ხმაც გავიგონე. მდინარე უნდა მიმეველოს.

გაღმა ასპინძა-ახალქალაქის გზაა. გზიდან ზემოთ, სოფელი რუსთავია. კი არ მივბრუნდებ, მივფრინავ. ემანდ ტყეა არ დამენიოს-მეთუი. ვითომ გავანსწრებ ამ ჯოჯოხეთურ შემოტევას?

შინელი მაცვია, წყალში ხელს შემომლოს, მაგრამ გახდის დრო არ არის. ჩემს წინ ბარიერი აღარ არსებობს. მხოლოდ

მტკვარს ვხედავ. დროის შეგრძობა დავკარგე და როცა ნაპირს მივახლონი, თავანყვეტილი წყალში გადავხვედი.

ნოემბერია და წყალი ამ დროს ძალიან ცივია, თუმცა, ამას არ დავეძებ. ისევ მესმის თოფის ხმა. ერთი, ორი, სამი... ჩემს გარშემო ტყეები სეტყვასავით ცვიოდა. ჩავყვინთე და ასე მივცურავ. აქ, ამ ადგილზე, მტკვარი ფართოდ მიედინება. ამოვყვინთე, მინდა ჩავისუნთოთ და... სუნთქვა შემეკრა. გაღმა გზაზე, სამხედრო მანქანები დგანან და იქიდან ჯარისკაცები გადმოდიან. ისევ ჩავყვინთე და უკან გამოვბრუნდი. მდინარის ნაპირზე ფოტოროა სიგარდზე ჩაყოლებული. მივცურდი და იქ შევიმალე ჩემთვის, დიდი უბედურების მოლოდინში. მდებრები ნაპირთან ახლოს არიან. მათი ხმა მესმის. ნაპირს მოყვებთან.

– კარგად გაჩხრიკეთ ნაპირი, არ გაგეცეთ, თორემ თქვენც წყალს გაგაყოლებთ! – გავიგონე ბრძანების კილოთი ნათქვამი სიტყვები მილიციელი ლუკასი. ლუკა ბიძაშვილად მეუთვინის.

მაღე, ჩემს თავს ზემოთ, ფოტოროზე შემოდგენე.

– პორფირა! გამოდი და ჩავგებარდი! – ეს ისევ ლუკას ხმაა. სხვა რალა დამარჩენოდა. გამოვძვარი, ნელში გავიშართე და თოფის კონდახი მომხვედა კისერში. დარტყმამ გამაბრუა. უმლა ხმა მომესმა ბინალიასი: – რას აკეთებ, მაგას კიდევ დარტყმა უნდა? ბინალიაც მილიციის თანამშრომელია, თათარი.

– ჯერ სადაა, უარესს მერე ნახავს. ესხა წავედი! კბილებში გამოსცრა ლუკასი.

შორიახლოს ნაცნობი სახეები დავლანდე. ჩემი პატარა ძმის სახესაც მოვკარი თვალი. ცრემლიან თვალებს მალავდა.

გამჩხრიკეს, ფული და ჩემი ლექსების ბლოკნოტი წამართვეს. მერე ხელები უკან შემიკრეს და წინ გამიფარეს. მიმეძღე მიღვივარ, შინელი მამიძიმებს უფრო.

რას განვიცდი? მორჩა, დამთავრდა ყოველივე. ახალი დღე იწყება. დღე არა, დღეები, წლები. მძიმე და უსასრულო. უნდა შევეგუო ყველაფერს. აკი ამაზეც მიფიქრია, ადრე, ვიდრე ამ ნაშთს გადავდამდი. პირველი დარტყმა მიღებულია, ყველაზე საშინელი. რა უძლური ხარ, თავს რომ ვერ შევლი და არც არავის იმედ გიქვს, აღარც ღმერთის, ამათ ხელში.

წინ დიდი სასჯელი მელოდება. ალბად სიკვდილით დამსჯიან მაღე, მაგრამ, მანამდე, დიდი გზაა გასავლელი ტანჯვისა და წამებისა. დანაშაულის უარყოფას აზრი აქვს, მაგრამ სადამდე? გაძლემამდე, ალბათ, მაგრამ, გავუძლებ კი, უკვე კაცთა წამების დახვეწილი მეთოდების ყოველდღიურად ჩემს თავზე გადატანას?

ვინრო ბილიკი უნდა გავგველო, მთის ფერდზე. ეს ჩემთვის კარგად ნაცნობი ადგილებაა. დაბლა მდინარე მოსწავს ციცაბო ნაპირითა და ჩქარი დინებით. და ისევე ფიქრები გაცქევს. ამ ბილიკიდან შეიძლება წყალში გადახტე, რა თქმა უნდა, თუ კი გამატარებენ ისე, მე რომ ვფიქრობ და მიემედედა. მეძღვევა შანსი და რისკზე წასვლა სიცოცხლის ფასად.

მაგრამ, არა, მიმიხვდნენ, შორიდან მომატარეს და ჩემ სოფელს ვუახლოვდებით. მესმის თანასოფელთა ყიყინა, ყაყინა. სოფელ იენგივეთთან მამაჩემს ვხედავ, აღმართზე ამომავალს. გული მიკვდება, როგორ გავუსწორო თვალი. რას მეტყვები, ან რა უნდა ვუპასუხო ამ მდგომარეობაში მყოფმა.

აჰა ისიც, ნელ-ნელა ვუახლოვდებით. თავს მაღლა ვერ ვწევ.

– რათ დამღუპე, მვილო, რათ დამღუპე! – ბოლმამოდგარი ხმით შემომბლავდა დაჭრილი მხეცივით. უნებურად თვალი გამეცქა მისკენ. ამის თქმა მოახერხა მხოლოდ ერთ დროს ამაყმა, ესხა დამდაბლებულმა და დაუძღურებულმა, თითქოს უკვე დაბერებულმა მამამ. რა უნდა მეთქვა, უკვე ყველაფერი ცნობილი გამხდარიყო მისთვისა.

(დასასრული იქნება)

# თათრების გასახლება

ასპინძის საშუალო სკოლაში სამამულო ომის პერიოდში ვსწავლობდი თათარ ბავშვებთან ერთად. მათ სულ თათრული გვარები ჰქონდათ. 120 კომლიანი ოჯახიდან, რამდენიმე ქართული ოჯახი ვიყავით. მიუხედავად ენის ბარიერისა, ერთმანეთს მაინც კარგად ვუგვებდით. ასპინძის ციხის უბანში სულ მიწური სახლები იდგა, გარდა ყავრით დაჭურული ორი ორსართულიანი სახლისა. პუდაგოგებად საქართველოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული მასწავლებლები გვყავდნენ. ციხესთან ახლოს მეჩეთიც იყო.

1944 წელს მათი გასახლება ყველასთვის მოულოდნელი იყო, თუმცა, ჩუმად ხმები დავიწყა – თათრებს ასახლებენო. მერე ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, გაოგნებულები ვიყავით.

დღეს, რუსთაველის ძეგლი რომ დგას, სამკუთხა პარკში, მაშინ მას დიდი, მალაღონი, რკინის დეკორატიული მესერი ერტყა გარშემო, მთელი თათრობა იქ შერეკეს, დიდიან-პატარაინად. ერთი ამბავი იყო, – თათრის ქალებისა და ბავშვების ტირილს ბოლო არ უჩანდა, კაცები კი გულში დაგროვილ ბოლმას ვერ მალავდნენ და...

მთელი პარკი გარშემორტყმული იყო შეიარაღებული ჯარისკაცებით, გზებზე კი ათეულიობით ამერიკული სატვირთო ავტომანქანა იდგა.

ქართული ენის მასწავლებელი გვყავდა – ლუბა ლობჯანიძე, ყველას გვიყვარდა იგი – თათრსაც და ქრისტიანსაც. პარკის ჭიშკართან მდგარ რუს ჯარისკაცებს სთხოვა, – შეეშავათ.

მასწავლებლის გამოჩენაზე, დიდი თუ პატარა, მასთან მივიდა და გარს შემოერტყა. ის კი ცრემლიანი თვალებით ჩახუტებული ემშვიდობებოდა ყველას. გულმაჩუ-

ყველი სურათი იყო. მერე უკან მომავალ ლუბა მასწავლებელს ისევ ჯარისკაცები გადაელობნენ, – არ უშვებდნენ პარკიდან, – თათრის ქალი ეგონათ.

როგორც იქნა, ადგილობრივი ხელი-სუფლების ჩარევით, გამოშვდნენ.

ნოემბრის იმ დღის შემდეგ ლუბა მასწავლებელი არასოდეს დამიხვედია, ახლაც თბილად ვიგონებ ხოლმე.

ალექსანდრა (შურა) ბერიძე, დასპინძა

ყოველი წლის 21 მაისს მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია განსაკუთრებული სიბრძნით და სიყვარულით აღნიშნავს იოანე მხარებლის (ღვთისმეტყველის) ხსენების უდიდეს დღესასწაულს.

სწორედ ამიტომაც, ძვირფასო მკითხველო, გათავაზობთ ამ უბრწყინვალესი წმინდანის მიერ შექმნილი უკვდავი ქმნილების (სახარება იოანე-სი) ტექსტს მოკლე შინაარსის სახით.

„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უიმიოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა.“ — ასე იწყებს ეს უკვდავი ნაწარმოები.

იოანე, ღმერთის მიერ მოვლენილი კაცი მოვიდა ამქვეყნიდან, რათა გაენათლებინა ხალხი, ერწმუნათ მისგან, ის მოვლენილი იყო ნათლის სამონებლად, ხოლო ნათელი, — ყველა კაცის გასანათლებლად.

ნათელმა შექმნა ქვეყანა „და ქვეყანამ იგი ვერ იცნო. თავისიანებთან მოვიდა, და თავისიანებმა იგი არ შეიწყნარეს“, ხოლო რომელმაც იწამა ის, მის მიერვე მიეცა „ახლმნივება ღმერთის შვილებად ნოდებულთაგან“.

იოანე მაცხოვარზე ამბობდა: „ჩემს შემდეგ მომავალი ჩემი წინამორბედა, ვინაიდან ჩემზე უწინარეს იყო“. რეული მოსეს მიერ მოგვცა, მაღლი და ქვმარიტება კი, — იესო ქრისტეს მიერ. მანვე ბრძანა, რომ ღმერთი უხილავია, და „შოლოდობილმა ძემ, რომელიც იყო მამის წიაღში, მან გაგვიცხადა“.

სწორედ ამიტომ, იუდეველებმა წარგზავნეს იერუსალიმიდან მღვდლები, რომლებიც ეკითხებოდნენ იოანეს: „ვინა ხარ შენ?“ და მან აღიარა, რომ არ არის ქრისტი, არც ელია ან სხვა რომელიმე წინასწარმეტყველი. წარგზავნილებში ერივნენ ფარისევლები, რომლებმაც ჰკითხეს, მამ ვინ მისცა ნათლისცემის უფლება, თუ არც ქრისტეა და არც წინასწარმეტყველი?

იოანემ მიუგო მათ: „მე ნათელს ვცემ წყლით, მაგრამ თქვენს შორის დათვს ის, ვისაც არ იცნობთ“, სწორედ ის არის მთავარი, მართალია, ჩემს შემდეგ მომავალი, მაგრამ ჩემზე უწინარესი... ეს მოხდა ბეთაბარაში, იორდანეს გადაღმა, იქ, სადაც ნათელს სცემდა იოანე.

მეორე დღეს, გამოეცხადა იოანეს ნათლის-საცემად იესო ქრისტე. ნათლისცემელმა რაღა თქმა უნდა, მაშინვე შეიცნო უფალი. იმ დროს იოანესთან მისი ორი მოწაფე იყო. უკან დაბრუნებისას ისინი იესოს კვალს მიჰყვნენ. შეამჩნია ეს ქრისტემ და ჰკითხა, რას ექებდნენ.

მათ კი მოუგეს: — „რაბი (მოდვარი), სადა გაქვს ბიჭი?“ მაცხოვარმა წაიყვანა ისინი თავისთან, „ხოლო ამ ორთაგან ერთი, რომელმაც იოანესაგან გაიგონა იესოს სახელი და გაჰყვა მას, იყო ანდრია, სიმონ-პეტრეს ძმა“. მან მოწახა თავისი ძმა, — სიმონი და უთხრა: „ჩემი ნახა მესია (ქრისტე), და იესოსთან მიიყვანა „ხოლო იესომ შეხედა მას და უთხრა: შენ ხარ სიმონი, იონას ძე; და იწოდებები კეფა (რაც თარგმანით ნიშნავს: „კლდე“).“

მაღე, იესომ გალილეაში წასვლა მოინდომა ფილიპესთან ერთად. „ფილიპე ბეთსაიდელი იყო, ანდრიასა და პეტრეს თანამოქალაქე“.

გალილეას კანაში იესო დედამისთან და თავის მოწაფეებთან ერთად ქორწილში მოხვდა. ღვინო შემოაკლდა და მარიამმა შვილს შეატყობინა ეს. მაცხოვარმა კასრები წყლით გაავსებინა მასკინძულს და ღვინო დაეცა. როცა თამადამ გემო გაუსინჯა ღვინოდქვეულ წყალს, — გოც და და სიძეს უთხრა: როგორც წესი, პირველად, სუფრაზე საუკეთესო ღვინო შემოაქვთ, როდესაც შემოაკლდებათ, — ნაკლები ხარისხის, ახლა კი ყველაფერი შერეალებით რატომ გაკეთდა? ასე დაუდო იესომ სასწაულებს დასაბამი.

კანადან კაპერნაუმში ჩავიდა მაცხოვარი „და იწამეს იგი მისმა მოწაფეებმა“.

მაღე, ქრისტე იერუსალიმში წავიდა პასექის დღესასწაულზე და საკუთარი თვალით იხილა ვაჭრობით სავსე ტაძარი. ვერ იტანა ეს იესომ და მიმართა მათ: „ხო აქცეეთ მამის ჩემის სახის სა-ვაჭრო სახლად“, და ყველა წესის დამრღვევი ფი-ზიკური ძალის გამოყენებით წმინდა ადგილიდან გამოყარა.

მრავალი სასწაული მოახდინა იესომ პასექის დღესასწაულზე, ირწმუნეს მისი, „მაგრამ თავად იესოს არ სწამდა მათი, ვინაიდან იცნობდა ყველას და არ სჭირდებოდა ვინმეს ემონებინა კაცი-სათვის, ვინაიდან თავად იცოდა, რაც იყო კაციში“.

ცხოვრობდა კაცი სახელად ნიკოდემე, — იუდეველთა მთავარი და ფარისევლთა თანა-ზარი. მიიღო ღამით ნიკოდემი ქრისტესთან და უთხრა, რომ აღიარებდა მას, როგორც ღმერთისა-გან მოვლენილს, რადგან ქვეყნად არავის შეეძ-ლო მსგავსი სასწაულთა ჩადენა, რომელსაც ის ახდენდა. მაშინ, მაცხოვარმა უპასუხა: „ვინც არ დაიბადება ხელახლა, ვერ იხილავს ღმერთის სა-სუფევებს“.

ვერ გაიგო ის პასუხი ნიკოდემემ და გოცე-ბულმა იკითხა, როგორ შეიძლებოდა ადამიანი ხელმეორედ დაბადებულიყო. ქრისტე კი, ცხადია, ადამიანის ხელმეორედ დაბადებაში გულისხმობ-და ცოდვათა მონანიებას, სულიერ განწმენდას და წარმოსთქვა: „ხოვრცის მიერ შობილი ხორცია;

და სულის მიერ შობილი სულია. ნუ გიკვირს, რომ გითხარა შენ, ხელახლა უნდა დაიბადო—მეთქი“. ნიკოდემეს სულიერად ხელახლად დაბადების აუცილებლობას გულისხმობდა მაცხოვარი, ვინა-იდან იუდეველთა მთავარი აკაცობით იყო განთ-ქმული.

ზეციერმა მამამ ქრისტე სწორედ იმისათვის მოავლინა, რომ ესხნა ქვეყანა და არა, განესაჯა იგი.

იესო თავის მოწაფეებთან ერთად იუდეის მხარეში ჩავიდა და ნათელს სცემდა ხალხს. იოანე კი იმ დროს ნათელს სცემდა ენონში, სადაც მის მოწაფეებს დავა მოუვიდათ იუდეველებთან გან-წმენდისათვის და უთხრეს, რომ ვინც თვითონ გა-ინიათლა, ახლა თავად სხვას სცემს ნათელს „და ყველანი მიდიან მასთან“.

იოანემ ასეთი პასუხი გასცა მათ: „ვერაფერს მიიღებს კაცი, თუკი ზეცით არ მისცემია. თქვენ თვითონვე დამემონებებით, რომ ვთქვი: არა ვარ მე ქრისტე, არამედ მის წინაშე ვარ მოვლინებუ-ლი“ და კარგად დაიხსომეთ: „ის უნდა იზარდოს,


თა და ორი თევზით დააპურა ისე, რომ საქმელი მორჩათ კიდეც და ქრისტემ „თავის მოწაფეებს უთხრა: აკრიფეთ წარჩინებები, რომ არაფერი და-იკარგოს. მათაც აკრიფეს და გააგესეს თორმეტი კალათი ქერის პურის ნატყეებით, რაც ჭამის შემ-დეგ დარჩა“.

იმ ამბის მხახველმა ხალხმა მიიჩნია, რომ მათ წინაშე ქვმარიტად წინასწარმეტყველი იყო, „რომელიც უნდა მოსულიყო ქვეყნად. ხოლო იესომ გაიგო, რომ აპირებენ მოსვლას და მის მო-ტაცებას, რათა გაამეფონ იგი, და ხელახლა გან-მარტოვდა მათზე“.

ერთხელ, საღამო ხანს იესოს მოწაფეები ნავით ზღვაში შევიდნენ და მოულოდნელად და-ინახეს საოცრება, — წყალზე ფეხით მიმავალი მაცხოვარი.

გაცოდნენ. მეორე დღეს მთელ ხალხს მოედო ის სასწა-ული.

ყველანი მოადგნენ იმ ადგილს, სადაც წინა დღეს იესომ გააძღო ისინი, მაგრამ იქ აღარ დახ-



მე კი დავკნინდე;“ არც ის დავივიწყოთ: „მაღლით მომავალი ყველაფერზე უმაღლესია; მინისმიერი მინიერია და მინისას იტყვის, ხოლო ზეცით მომავალი ყველაზე უზენაესია“. სწორედ ამიტომ, ვი-საც სწამს ღმერთის ძე — იესო ქრისტე, უკვდავია და, ვინც არ იწამებს „ვერ იხილავს სიციცხლეს და რისხვა ღმერთისა არ დაუტყვებს მას“.

როცა იესომ შეიტყო, რომ ფარისევლებმა გა-იგეს, ის უფრო მეტ მოწაფეს იძენდა და ნათელ-საც გაცილებით მეტ ხალხს სცემდა, მიატოვა იუდა და სამარიაზე გადმოიხიდა ნავიდა.

გზად იაკობის წყაროსთან შეისვენა. მივიდა მასთან ხუთმარგამოცვლილი ქალი, რომელსაც იესომ წყალი სთხოვა. გაიკვირვა ქალ-მა და უთხრა, როგორ სთხოვდა იუდეველი სამა-რიველ ქალს წყალს, მათ ხომ არაფერი ჰქონდათ საერთო. იესომ უპასუხა ქალს: რომ სცოდნოდა ვინ სთხოვდა, წყალს თავად მოსთხოვდა მას და მი-იღებდა კიდეც მისგან ცოცხალ წყალს. გაიკვირვა ქალმა, ნუთუ იაკობზე ძლიერი ხარ, ჩემს მამაზე, რომელმაც მოგვცა ეს ჭა? იესომ მიუგო: „ყველას, ვინც ამ წყალს დაღვას, კვლავ მოსწყურდება, მაგრამ ვინც დაღვას წყალს, რომელსაც მე მიე-ცემ, აღარასოდეს მოსწყურდება უკუნისამდე“.

და მაშინ, უთხრა ქალმა: „ბატონო, მომეცი ეგ წყალი, რათა აღარ მომწყურდეს და აღარასოდეს მოვიდე აქ ამოსალვად“. ქრისტემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო ქალს, ისიც, რომ ხუთი ქმა-რი ჰყავდა და ახლა ვინც ჰყავს, მისი ქმარი რომ არ არის და მრავალი სხვა. გაოგნებულმა ქალმა წარმოსთქვა: „ვიცი, რომ მოვა მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე, და როცა მოვა, გავუწყებს ჩვენ ყოველს“.

მიუგო მას იესომ: „მე ვარ, შენთან მოლაპა-რაკე“.

ქალი სასწრაფოდ გაეცალა მას და მთელ ქვე-ყანას მოსდო ქრისტეს ხილვის ამბავი.

იუდეველთა დღესასწაულზე იერუსალიმში ავიდა ქრისტე; იქ ერთი აუზი იყო, რომელსაც ბე-თხედა ერქვა. მის გარშემო უამრავი ავაღმყოფი იყრიდა თავს, რადგან დროდარო ანგელოზი ჩა-დიოდა წყალში „და ვინც წყლის ძვრისას პირველი ჩავიდობდა მიგ“, რითაც იყო სნეული, ინკურნებო-და უშალა.

იქ, იესომ ნახა კაცი, რომელიც ოცდათერთმე-ტი წელი იტანჯებოდა, მაგრამ ვერაფრით ახერ-ხებდა წყალში პირველად ჩახტომას. „უფალო, კაცი არა მაყავს, რომ წყლის ძვრისას ჩამადოს აუზში, ვიდრე მე მივალ, სხვა მასწრებს ჩასვლას“.

მაცხოვარმა მაშინვე განკურნა ის კაცი. ეს მოხდა შაბათს, ამიტომ იუდეველებმა დევნა დაუწყეს ამის გამო და მისი მოკვლაც კი განიზ-რახეს. ყოველივეს მიზეზად კი იუდეველებმა შაბათს, — უქმედ ნოდებულ დღედ, იესოს მიერ ნამოქმედარი კეთილი საქმი მიიჩნიეს.

იესო გალილეაში დაბრუნდა და მრავალი სასწაული მოახდინა, — უამრავი სნეული ადამი-ანი განკურნა. ხუთი ათასამდე კაცი, ხუთი ქერის პური-

მრისხანებით იმის გამო“, რომ კეთილი საქმე ჩავი-დინე შაბათს?

დიდი არეულობა გამოიწვია იესოს ნათქვამმა ხალხში, ვერ გაეგოთ, ვინ იდგა მათ წინაშე. „გა-იგონეს ფარისევლებმა ეს მითქმა-მოთქმა ხალხ-ში; და გაგზავნეს ფარისევლებმა და მღვდელმ-თავრებმა მსახური მის შესაპყრობლად“.

მაცხოვარმა კი სთქვა, რომ კიდეც ცოტა ხანს დაჰყოფდა მათთან. გოცეული იუდეველები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, სად შეიძლებოდა ნა-სულიყო ისეთ ადგილას, სადაც ვერ იპოვნიდნენ, ერთი ამბობდნენ, რომ მათ წინაშე ქრისტეა და ხალხს მოუწოდებდნენ, შეეპყროთ იგი.

ბოლოს „ყველანი თავიანთ სახლებში წავიდ-ნენ“, იესო კი ზეთისხილის მთაზე ავიდა.

გათენდა. მაცხოვარი კვლავ შევიდა ტაძარში.

უამრავი ხალხი ეხვეოდა გარშემო.

მნივნობებსა და ფარისევლებს მისი შეპყ-რობა ჰქონდათ გადაწყვეტილი და ამისათვის საბაბს ეძებდნენ. სწორედ იმ მიზნით, მრუშობის ფაქტზე ნასწრებული ქალი მიუყვანეს იესოს და შეახსენეს, რომ მისეს რჯულის თანახმად, უნდა ჩაეყოლათ ისეთი.

მაცხოვარმა მიმართა მათ: „ვინც უცოდვე-ლია თქვენს შორის, პირველად იმან ესროლოს ქვა“. ამის გაგონებისთანავე ყველა იქ მყოფი იქაურობას გაეცალა და დარჩა მხოლოდ იესო და ის ქალი. მიმართა იესომ: „სად არიან შენი ბრალმ-დებლები? არავინ განგსაჯა შენ?“ არც მე განგს-ჯი: ახლა ნადი და ამიერიდან ნულარ მუსკოვად.“

იესო კვლავინდებურად მოუწოდებდა ხალხს უცოდველი ცხოვრებისაკენ, რითაც საზოგადო თავისუფლებას ჰპირდებოდა მათ. ყველას უკ-ვირდა: კი მაგრამ, ჩვენ ხომ აბრაამის თესლისა-ნი ვართ, არასოდეს დავმონებოვართ ვინმეს, შენ კი რა განთავისუფლებას გვიპირდებიო. იესომ მიუგო მათ, რომ აბრაამი არასოდეს ყოფილა კაციმოქალაქე, მამ, თქვენ რაღა გეგმარებთებო, მო-საკლავად რომ მიმეტებთ და დღე და ღამე ჩემი შეპყრობის მეთი აღარაფერი გახსოვთ.

და აი, მაშინ, დიდძალმა იუდეველმა იწამა ის. მაცხოვარმა ისიც უთხრა ხალხს, რომ არასოდეს თავისით არ განსჯიდა მათ, მხოლოდ მისი მამის სურვილით მოქმედებდა და სწორედ ამიტომაც მარტო არ დატოვა მამამ. აკეთებდა იმას, რაც მას ეამებოდა. თქვენ კი, მამათქვენისი, — ეშმაკის სურ-ვილს ასრულებთ, რომელიც კაცის მკვლელი იყო თავიდანვე „და ქვმარიტებაში ვერ დაემკვიდრა, ვინაიდან ქვმარიტება არ არის მისი და როცა სიც-რუეს ამბობს, თავისას ამბობს, ვინაიდან ცრუ არის და სიცრუის მამა“ და თქვენ, „აბრაამის შვილები რომ იყოთ, საქმითაც აბრაამისას გააკეთებდით“.

ამით, მაცხოვარმა ხალხს მიანიშნა, რომ სა-მართლად არ იცავდნენ და ცხოვრობდნენ ისე, როგორც ეს მოსეს რჯულში სწერია. მაშინ, იუდე-ველთა ერთმა ნაწილმა მიუგო: „განა კარგად არ ვამბობთ, რომ სამარტილი ხარ და ეშმაკეული?“ იესომ მათ შეახსენა, რომ მათი მამა, — აბრაამის გახარებულია მისი ხილვით.

მთლად განრისხდნენ იუდეველები: „ოთხ-მოცდაათი წლისადა არა ხარ, და აბრაამი გინა-ხავს?“ იესომ მშვიდად უპასუხა: „ქვმარიტად, ქვმარიტად გეუბნებით თქვენ: აბრაამზე უწინა-რეს მე ვარ“.

განრისხებულმა იუდეველებმა ქვეშ დასტა-ცეს ხელი იესოს ჩასაქოლად, მაგრამ მან უხილა-ვად მათ შორის გაიარა და ტაძრიდან გაუჩინარ-და.

გზად მიმავალს, დაბადებიდან ბრმა კაცი შემოხვდა. მაცხოვარმა ტალახი მოზილა, თვა-ლებზე გადაუსვა და უთხრა, სილოამის აუზში მოეხანა.

ბრმამ დაუფერა და თვალბეჭც აეხილა.

უამრავ ხალხს ამცნო თვალახელოლმა ის ამ-ბავი.

ფარისევლებმა არ იწამეს ის სასწაული და განკურნებულსა და მის მშობლებსაც ჰკითხეს: ვინ იყო ის კაცი, რომელმაც ეს შესძლო. პასუ-ხად მიიღეს, რომ ვინ არის სასწაულთმოქმედი არ იციან, ფაქტი კი ნამდვილია. გოცდნენ ფარისევ-ლები, ვინ არის ის, ვინც ბედავს და მოსეს რჯულს არღვევს და შაბათს დღეს რაიმე საქმეს აკეთებს?

კვლავ იხმეს თვალახელილი და უთხრეს: „მი-ავე დიდება ღმერთს, ჩვენ ვიცით, რომ ეს კაცი ცოცხალია. ხოლო მან მიუგო და თქვა: ცოდვი-ლია თუ არა, არ ვიცი, ერთი ვი ვიცი, რომ ბრმა ვიყავი და აწ ვხედავ“.

გაბოროტებულმა იქიდან გააგდეს ის კაცი. გაიგო ის ამბავი იესომ და მოინახულა ყოფი-ლი ბრმა. შემდეგ კი ჰკითხა, ნსამდა თუ არა ძე ღმერთისა.

კაცმა უპასუხა: კი მაგრამ, ვინ არის რომ ვი-წამო? იესომ მიუგო: „შენ ვიხილავს იგი და ვინც გელაპარაკება, ის არის“. მდღერემა კაცმა თაყ-ვანი სცა მაცხოვარს და აღიარა: „მშამს, უფალო“, ხოლო იესომ სთქვა: „განსასჯულად მოველ ამ ქვეყნად, რათა ბრმებმა იხილონ, მხედველნი კი ბრმად იქცნენ“.

ამის გამგონე ფარისევლებმა ჰკითხეს მას: „ნუთუ ჩვენც ბრმები ვართ?“ უთხრა მათ იესომ: ბრმები რომ იყოთ, ცოდვაც არ გექნებოდათ; ახლა კი ამბობთ, ვხედავთ, და ცოდვაც თანა გაქეთ“.

**ლევან გვიტაძე**  
(დასასრული იქნება)

გამოფენა, რომელიც წარმოადგენს მთხევლიანობის ქოვესს

ყველა ქვეყანა თავისი ისტორიული წარსულით, ადათ-წესებითა და კულტურით გამოირჩევა.



ცხადია, ყველა მოკვდავ ადამიანს არა აქვს საშუალება საკუთარი თვლით იხილოს მისთვის საინტერესო, ესა თუ ის ქვეყანა, თუმცა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები იმის გარანტიას იძლევა, ვიზუალურად ახლოს გავცნო ნებისმიერ ქვეყანას.

ბულგარულ ხალხსაც აქვს თავისი საამაყო ისტორიული წარსული, თავისი მყოფადი კულტურა...

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ამ ქვეყანაში, შეუძლებელია არ ენახოს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მატერიალური კულტურის ძეგლები, განსაკუთრებით კი ბოჩკოვოს (პეტრინონის) სამონასტრო კომპლექსი.

ნიმანდობლივია, რომ ქართული მატერიალური კულტურის არაერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი ამოფანტული არა მარტო მსოფლიოს აზიურ ნაწილში, არამედ ევროპულშიც. სწორედ ბოჩკოვოს (პეტრინონის) სამონასტრო კომპლექსია ის დიდი მართლმადიდებლური ქრისტიანული ძეგლი, რომელიც ბულგარეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურის კერას წარმოადგენს და იგი, ჩვენთვის, უფრო იმითაა ახლობელი და მიმზიდველი, რომ მისი აღმშენებელი ქართველი კაცი, უფლისწული

გრიგოლ ბაკურიანისძე, – ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ბიზანტიის საიმპერატორო კართან დაახლოებული პირი, ბრწყინვალე სარდალი. სწორედ მან 1083 წელს დააფუძნა იგი და მანვე მონასტრის შეუდგინა ტიპიკონი ქართულ და ბერძნულ ენებზე. მოგვიანებით აქ ჩამოყალიბდა ბულგარეთში საქვეყნოდ ცნობილი ქართული სემინარია, სადაც თითქმის ოცი წელი მოღვაწეობდა და სათავეში ედგა ფრიად ცნობილი საეკლესიო მოღვაწე იოანე პეტრინი, რომლის ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა სკოლამ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართული მწერლობა ბიზანტიურს. ახლანდელ ხალხების რაბათის ციხეზე – მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, მოწყობილი ბულ-

გარედი ხელოვანის რ.ხაჯიმოვიძის ფოტო მასალის გამოფენა – „ხელნაწერთა მემკვიდრეობა – ბალკანეთი მე-6-მე-16 საუკუნეები“. გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა ახალციხის მერმა გიორგი კობაქემ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გამოფენის მოწყობა ემსახურება ქართველი და ბულგარელი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

დამსწრე საზოგადოებას მივსალამა და გამოფენის მნიშვნელობაზე ისაუბრა ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიის ინსტიტუტის დირექტორმა ტანია მიხაილოვამ, რომელმაც აღნიშნა, რომ გამოფენა იმართება ე.წ. ევროპული დღეების ფარგლებში და მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნი-

ლი, რაც იმის დასტურია, თუ რაოდენ დიდია კავშირები ბულგარეთსა და საქართველოს შორის. გამოფენის მიზანია წარმოაჩინოს რეგიონში მცხოვრებ ხალხთა ტოლერანტობის და თანაცხოვრების გამოცდილება. იგი თვალსაჩინო მავალია, თუ როგორი ფენომენალური დამოკიდებულებაა ხელნაწერების მიმართ. გამოფენის ინიციატორებმა წარმოადგინეს ბოჩკოვოს მონასტრიდან ფრესკების ფოტოები, 1311 წლით დათარიღებული ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის, იმ ხატისა, რომელიც უბოძებია ამ მონასტრისათვის ქართველ მოგზაურებს. დამთავალიერებელთა ყურადღებას

დაფერილი ვერცხლის ფერის, სავარაუდოდ, ქართული ანბანის შემქმნელის ფანიაზ მეფის ფრესკების ფოტოები და ა.შ.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ და სიტყვაში გამოვიდნენ ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი, ეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე. გამოფენის გახსნას ესწრებოდა აგრეთვე ბულგარეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში პლამენ ბონჩევი, საელჩოს სხვა ოფიციალური პირები, ქალაქის მერიის



იქცევს ნმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძრის, პეტრინონის მონასტრის სიძველეთა, სატრაპეზოს, მოციქულთა და ანგელოზთა დასის ფრესკები, გრიგოლ ბაკურიანისძის დროინდელი ალყაფის კარის, სატრაპეზოს კარის თავზე გამოსახული ოქროთი

პასუხისმგებელი მუშაკები, მოწვეული სტუმრები, მუზეუმის თანამშრომლები და სხვ.

გამოფენა საქართველოში ბულგარეთის ელჩისა და ახალციხის მერიის ინიციატივით მოეწყო.

ავთანდილ ბერიძე


ახალი გამოცემა

ივანე ჯავახიშვილი – „პოლიტიკურ-სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში“

გიორგი ვპრიტივილი

„ეროვნული თვითშეცნობის გამოვლინებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის, წარსულის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს.“ ივანე ჯავახიშვილი

გამოვიდა დიდი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიის – „პოლიტიკურ-სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში“, – ქართული თარგმანი. ეს წიგნი რუსულად დაიწერა და გამოქვეყნდა 110 წლის წინ, – 1906 წელს,



სანკ-პეტერბურგში. იგი მოიცავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას 1783 წლიდან 1905 წლამდე. ამ ნაშრომის გაგრძელებაა 1919 წელს ქართულად გამოცემული მისივე ვრცელი გამოკვლევა – „ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში“. როგორც ვხედავთ, დიდი მეცნიერი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს შესაბამისად პასუხობდა და პოლიტიკურ ჭრილში განიხილავდა. ნაშრომი გამოქვეყნდა რუსულ ენაზე. მასში ძველი რუსული ფორმების გამოყენებული და მიკითხვულ უჭირს მისი გაგება. იგი ქართველ მკითხველ საზოგადოებაში კი არა,

მეცნიერთა წრეებშიც ნაკლებად იყო ცნობილი. წიგნის ქართულად თარგმნის ინიციატორისა და რედაქტორის ვჟა კიკნაძის დამსახურებაა, რომ წიგნმა დღის სინათლე იხილა. თარგმანი შესრულებულია რუსულად მა-ხათაძის მიერ. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, – ახლა ასეთი ნაშრომის გამოქვეყნება, თანაც, ივანე ჯავახიშვილის სახელდებით, დროულია და აქტუალურზე აქტუალური. რუსული პროპაგანდისტული მანქანა დღეს მთელი სიმძლავრით მუშაობს საქართველოში, ჩვენ კი, სამწუხაროდ, რატომღაც, არასაკმა-რის ზომებს ვიღებთ ამ აღვირახსნილი ავტობაჟის აღსაკვეთად, აღკვეთას ვინ ჩვივის, მის განვითარება-საც ვერ ვახდენთ.

აი, შედეგმაც არ დააყოვნა და მომრავლდნენ რუსული არასამთავრობო ორგანიზაციები და სატელითური გადაცემები. აქტიურად დაიწყეს რუსული ტელე-სერიალების ჩვენება. ამ დროს კი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და უკრაინაში მათი ჩვენება აკრძალულია. უწყვეტ ნაკადად შემოედინება რუსული ფული, რომელიც ძირითადად ხმარდება ანტიდასავლურ ავტორიტარ-პროპაგანდას.

თუ როგორი სიკეთე მოუტანა საქართველოს რუსეთის იმპერიამ, ამის შესახებ ილიამ ლერმონტოვის „მწირის“ ქართულ თარგმანში ასე გადმოსცა:

„И божья благодать сошла На Грузию! – Она цвела, С тех пор в тяни своих садов, На спасая врагов, За гранью дружеских штиков“... წერს ლერმონტოვი, მაგრამ ილიას ასე უთარგმნია:

„მას აქეთ, რაც კურთხევა ღვთისა მიეც ტანჯულსა ივერიის ერს, რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, ღმერთმა იმ რუსსეც ასეცადა მისცეს“.

– **ხომ ირწმუნებოდნენ და ახლაც ირწმუნებიან, რუსულმა იარაღმა მშვიდობა და ბედნიერება მოუტანა საქართველოსო, ჰოდა, რა ბედნიერებაც მოუტანა, იმას უს ურგებდნენ**

თვითონვე ასეცადა“, – ასეთ კომენტარს აკეთებს ცნობილი მწერალი და მეცნიერი როსტომ ჩხეიძე. ძნელია არ დაეთანხმო. აქ მახსენდება ბრძენი პოეტის ნათქვამი: **რა არის იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“**...

ჰოდა, როგორი სიკეთეც მოუტანა რუსეთის იმპერიამ საქართველოს, სწორედ ამაზეა დაწერილი ეს წიგნი.

ივანე ჯავახიშვილი შესავალში წერს: – **„უკვე რამდენიმე წელია, რუსეთის საზოგადოებრიობის ყურადღებას იქცევს საქართველოში გაშლილი მძლავრი პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა. ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც, მიაჩნია, რომ იგი მოულოდნელად, ერთბაშად გაიშალა. მათ ვერ გაუგიათ, როგორ გამოიშავა და გამოავლინა ქართველმა ხალხმა ასეთი ერთობიანი ახალი პოლიტიკური მოძრაობა, საიდან იშვა ის სამაგალითო დისციპლინა და ორგანიზაციული საქმიანობა, რომელიც, კულტურულ-თვალსაზრისით, ასე მომგებინადა განასხვავებს ქართულ მოძრაობას რუსეთის სხვა ადგილებში გაშლილ ამჟამინდელი მოძრაობებისაგან. ეს არც არის ვასაკვირი, რამდენადაც, ისტორიული თვალსაზრისით, ბოლო ხანებში, რუსულ ენაზე არ არსებობდა მე-19 საუკუნის საქართველოში გაშლილი მოძრაობის თუნდაც მოკლე მიმოხილვა“**.

ივ.ჯავახიშვილს ამ ხარვეზის შესება განუზრახავს და იქვე მკითხველს განუმარტავს:

1. რა იყო მიზეზი, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანაში, ერთა მომზიდველად წარმოჩენილი რუსეთის მთავრობისა და სამეფო სასამართლოს ავტორიტეტი პირ-მინდად შეილახა ქართველი ხალხის თვალში?

2. რომ საქართველოში აშლილ სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობას, მე-19 საუკუნეში კი არა, რომ არაფერი ვთქვათ, უფრო ძველ ხანაზე, თავისი ისტორია ჰქონოდა; ქართველი ხალხი უკვე კარგა ხნის განრთობილი და დისციპლინებული გახლდა ამ საქმეში?

3. ...და ამჟამინდელ მოძრაობას ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული ხალხის ფსიქიკასა და ყოფაცხოვ-

რებაში.

და იქვე, მართებულად აღნიშნავდა: **„რევოლუციურ პარტიებს კი არ შეულებსათ მთავრობის ღირსება ხალხის თვალში, არამედ თავად მთავრობამ გაიტება სახელი თავისი ასწლიანი მმართველობისა და რეჟიმის აღკვერტიდან“**...

ავტორს შემდეგ მოაქვს ისტორიული ფაქტები, თუ როგორ უსამართლოდ გაატარა რუსეთის მთავრობამ აგროული რეფორმა საქართველოში. ამ რეფორმით გამოწვეული უკმაყოფილების შესახებ ბარონი როზენი პეტერბურგიდან წერდა: – **„ქართველ თავადზნაურთა წრეებში შეიმჩნევა გარკვეული გულგატეხილობა, რომელიც უკმაყოფილებას უახლოვდება“**. ქართველ თავადზნაურთა ეს უკმაყოფილება დამთავრდა 1832 წლის შეთქმულებით. შეთქმულება დანიშნულ დროზე ადრე ჩაახშვეს, რადგან ისეც ფალგანდვილიზმა გასცა – **„ახლა, როდესაც ხელთ ვგაქვს დოკუმენტები, დანამდილებით შეიძლება ითქვას, რომ ფალგანდვილის რომ არ ელაღაბა, შეთქმულებას არანაირი წარმატება არ ექნებოდა არა იმიტომ, რომ ქართველი საზოგადოება არც თუ მთლად დიდ უკმაყოფილებას და გაბოროტებას ამჟღავნებდა რუსეთის მთავრობის მიერ დანესტეული რეჟიმის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ სწორედ იმხანად ქართველ გლეხობაში დიდი მლელვარება იყო დაწყებული და იგი მხარს არა დაუჭერდა დიდგვაროვანთა მონოდეზას“**. – წერს ივ.ჯავახიშვილი და იქვე განმარტავს, – **„იმ წლებში, როცა შეთქმულება მზადდებოდა, რუსთა ბატონობის უფლის გადასაგდებად, ქართველ გლეხობაში კვლავ დაიწყო მძლავრი მოძრაობა ბატონყმობისაგან ვათავისუფლების მხარდასაჭერად“**.

ამ მხრივ საინტერესოა მენშიკოვის პოზიცია. იგი მართალია გაოგნებული ყოფილა ქართველი გლეხობისთვის დანესტეული ბეგარის მრავალფეროვნებით, მაგრამ ბედის ირონიით, მან შეღავათების მაგიერ გადაწყვიტა: **„ამჟამად მოქმედი ბეგარია, არაუფიანებს სამი წლისა, შეიცვალოს რუსეთში მოქმედი ბეგარით: ქართველ მემამულეებს დაუყოვნებ-**

ლივ მიეცეთ თავიანთი გლეხების ჯარივ გადახვისა და ციმიწმის გადასახლების ნება“. ამით მას სურდა საქართველო ხელახლა, ერთ თარგზე გამოეჭრა ზოგადრუსული ნიმუშის მიხედვით, ოღონდ კი გარეგნული ერთფეროვნება და მოხელეთა პატივისცემა ყოფილიყო დატული.

„აი სიბრძნე! – ირონიით წერს ივ.ჯავახიშვილი, – **რა თქმა უნდა, უარყოფითი შედეგები გამოიღო და საქართველოში გლეხთა აჯანყება მოედო გურიში, ოსეთსა და ბელაქანში, მაგრამ ყველაზე ფართო მოცულობის გლეხთა აჯანყება მოხდა სამეგრელოში – უტუ მთავრის მეთაურობით“**.

ივ.ჯავახიშვილი ანალიზს უკეთებს ამ დროს გლეხთა აჯანყებას და დაასკვნის – ეს სოციალური აჯანყება გამოწვეული იყო რუსეთის მთავრობის უხეში რუსიფიკაციული პოლიტიკით. ეს აჯანყებები მთელი სისასტიკით ჩაახშო ცარისტულმა რუსეთმა. მას უკან არ დაუხევია და დაიწყო ქართველთა დაყოფა და ცდილობდა მეგრელებისთვის რუსული ანბანის შემოღებას. საღმრთო წერილის ქართულიდან მეგრულად თარგმნას მიჰყვეს ხელი და ა.შ. უძველესმა ქართველმა ტომმა – მეგრელებმა ეს ვერაგული ჩანაფიქრი არ მიიღეს და მშობლიური ქართული დამწერლობის ლაღატი გულში არ გაუვლიათ.

სამწუხაროდ, დღეს ზოგიერთი ე.წ. მეზობელი, ფამიდან ფამზე, ამოატივტივებს ხოლმე ამ ვერაგულ ჩანაფიქრს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს და ვერც მიადევს!

ივ.ჯავახიშვილის წიგნში კიდევ არაერთი საკითხია წამოჭრილი და გადაჭრილი. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ისტორიკოსებს მე-19 საუკუნის რუსულ-ქართული ურთიერთობების კვლევის საქმეში.

საგანგებოდ უნდა აღნიშნოს – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-მა და ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა ამ წიგნის ქართულად გამოცემით მე-19 საუკუნის ქართველ-რუსული ურთიერთობების ისტორიის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, რაც მისასალმებელია.

# ღლესაწახულები და ღლესაწახულებთან დაკავშირებული ნესები

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. №1,2,12 – 2015, 1-5 2016 წ.წ.)

## წვერობა

წვერობა აღდგომასთან დაკავშირებული ღლესაწახულება, კვირაცხოვლობის სწორზე, კვირას მოდიოდა, აღდგომის მე-14 დღეს, წვერობის ღლესაწახულების მახლობლად, ამავე სახელწოდების გორაკზე იმართებოდა. სახელწოდებაც ამავე გორაკიდან უნდა ჰქონდეს მიღებული ღლესაწახულები. საეკლესიო კალენდრით, ეს დღე „წმ. დიდებულისა მონ. ირინესი, ღირს მიქელისა და ადრიანესი“ ხსენების დღეა.

## ქსევიტობა

გორაკი ახალქალაქის რაიონის სოფელ ხოსპოს აღმოსავლეთით მდებარეობს, საკმაოდ მაღალია. გორაკის თავზე მცირე ოთხკუთხედიანი ამაღლებული. ამ სანგარს შიგნით სვეტი დგას. იმავე ტიპისა, როგორც კოთელიის კვირაცხოველი და ბარალეთის ამაღლებულია. აქ, ისევე როგორც კვირაცხოვლობას, საკმაოდ რიცხვმრავალი ხალხი იკრიბებოდა და მართავდა ქეიფს. ხშირად მღვდელი პარაკლის იხდიდა.

## ამაღლება

უფრო ფართოდ გახმაურებული ღლესაწახულებია. აქ ამაღლებაც დიდძალი ხალხი იყრის თავს. ამაღლება აღდგომის მეორე დღეს მოდის საეკლესიო კალენდრით: ქრისტეს ცად ამაღლების დღეა. „ამაღლება“ ბარალეთიდან ჩრდილოეთით – 2,5 კმ-ზე მდებარეობს. მომალე, გაშლილ ვაკეზე, ოთხკუთხედიანი უღებულ ქვებით უღებულ, უკიროდ კედელიანი შემოღებულ, რომლის შიგნით, აღმოსავლეთის კედლიდან 1,5 მეტრის დაშორებით, არის მაღალი სვეტი აღმართული, იმდენად მაღალი, რომ საკმაო მოზრდილი, ზედ ჯვარგამოხატული ქვაშია ჩასმული. სვეტი წითელი ქვისაა, ხოლო ზედა თავში ამავე წითელი ქვის ჯვარია ჩასმული. ხალხური გადმოცემით, ამაღლების სვეტი ანდრია მოციქულის დროს არის აღმართული, ვითომც იმ დროს სამი ჯვარი გააკეთეს: ერთი ამაღლებას იქნა აღმართული, მეორე – ციხიჯვარში (იგულისხმება თორის მახლობელი ციხიჯვარი) და, მესამე კი ხიდიჯვარში (ბარალეთიდან 3 კილომეტრის მანძილზე, სამხრეთით მდებარეობს. ამაღლებას ნასოფლარია. გ.ზ.). ამაღლების სვეტს მრავალსაწახულებშია მიანერენ. ერთი გადმოცემით: ამაღლების სვეტი იქ კი არ მდგარა,

სადაც ამაღლებაც სდგას, არამედ იქ, სადაც კვირაცხოველია (კოთელიაში). ამ სვეტის თავზე ოქროს ჯვარი ჰქონებია. ერთხელ მას დასხმის ლეკები და ოქროს ჯვარი მოუტაციათ. ღამე სწორედ აქ, ამაღლების ადგილზე, გაუთვითა. დილით რომ გაუღვიძიათ, უნახავთ, რომ ამაღლების სვეტი აღმართული მდგარა და მათს მიერ მოტაცებული ოქროს ჯვარიც თავზე დგომია. გულგახებულ ლეკებს ისევე მოუტოვებიათ და გაქცეულან. შემდეგ კი, სადა გაქრა ოქროს ჯვარი და რატომ ადგია ქვის ჯვარი, ამის შესახებ კი არაფერს ამბობენ. გვიან, გადმოგვცემს იგივე თქმულება, დიდი ქარიშხალი ამოვარდნილა და ნაუქცევია სვეტი და ცალი გვერდი, ზედა თავისა, გაუტეხია. არავინ აღმოჩენილა, რომ აუყენებინათ ისე. იმ წელიწადს საშინელი გვალვა მოვლინებია სოფელს, ისე, რომ კინაღამ გადაუწვია მთელი ნათესები. რა რიტუალი არ ჩაუტარებიათ, მაგრამ ნვიმა არ მოსულა, ბოლოს ერთ მურჯიკელს (ბარალელს) უნახავს სიზმარი: ამაღლება მოსჩვენებია და უთქვამს: ვიდრე მე არ ამაყენებთ, წვეთ ნამს არ მოგცემთო. იმ კაცს უთქვამს ხალხისთვის, შეკრებილან ახლო-მახლო სოფლებიდან და როგორც ყოფილა სვეტი, ისევე აუყენებიათ. სვეტი აუყენებიათ თუ არა, ნვიმაც მაშინვე მოსულა.

იყრის ამაღლებაც ხალხი, მთელი ჯავახეთის სოფლებიდან – ვის ახალი პატარძალი მიჰყავდა ამ დღეობაზე, ვინ ქალის გასასინჯად მიდიოდა, სხვები კი ნათესავების სანახავად და დროის გასატარებლად. ბევრჯერ ქალის მოტაცებაც მომხდარა აქ. ქეიფი კვირაცხოვლობის მსგავსად იმართებოდა და ხშირად ქეიფი მთვრლების ჩხუბით მთავრდებოდა.

## ბურნაშეთობა

„ბურნაშეთობა“ სოფელ ბურნაშეთში მიდის. ბორჯომ-ახალქალაქის გზატკეცილის მარჯვენა მხარეზე... ქედის ძირში მდებარეობს ოდნავ მაღლობზე, ერთნაირი ეკლესია აგებული. მასში ღღემდე დაცულია ორი ასომთავრული წარწერა. ერთი ეკლესიის შიგნით, მარცხენა კედელზე, მეორე კი გარეთ, აღმოსავლეთის ფანჯრის ზემოდან. აქაც ჯავახეთის საკმაოდ დიდძალი ხალხი იკრიბებოდა. სწარმოებდა ღამის თევზ, სამღვთოების დაკველა და დღე კი ქეიფი.

მთქმელი **სიმონ ბელიძე, 65 წლის, ს.ბალანთა, ჩაიწერა ბიორბი ზაღბინიძე 1948 წელს.**  
(დასასრული იქნება)

## ხალხური ჰუმორი

<p>*** ჩვენი მეგუთნე ანტუშა გაკვართულია ტანშია, ხარცი კარგი ჰყავს, თვითონაც დიდად ნაქები გვარშია.</p>	<p>*** ქალო, ალვის ხე, ლამაზო, მუდმივად ქმარის ცდამია, თვალ-წარბიც მშვენიერი გაქვს და მოხერხებაც მკლავშია.</p>	<p>*** ქარი ჰქრის შაშვის წვერზედა, ღრუბლებიც ბერდებანიო, მინა-წყალს ითხოვს გვალული, გულ-მკერდი გაუღიანო... ნვიმაც, იწვიმე ჩქარადა, აღარა დაიგვიანო, ბაღა და ბალი მოგვირწყე, ჩვენ არა შეგვიძლიანო, გვაშორე შექა-ქუხილი, უფალო, ხელმადლიანო!</p>	<p>*** ლიზაი აქნევდა თამხარბურს*, ხან საცერს, ხანაც ცხრილსაო, ჯაფა და შრომა მას უყვარს, გამარჯე დედ-მამის შვილსაო.</p>	<p>დაგვაგდებინა ზახალო, ურმით ნაზიდი ქვანო, სხვაგან მისულებს სამადლოდ, არ მოგვცეს ერდო-ბანიო, არც ყანა-ჭალა გვიბოძეს, თქვენზედ ჰარამი ბოიო!</p>
<p>*** ფორნიკარ მივლენ ვაჟკაცნი, დამძლარნი ცეკვა-ღებნითა, ქალიც მიჰყავდათ ლამაზი, დიდხანს ტკბებოდნენ ცქერითა.</p>	<p>*** მე ვარ ანტონა გოგიაშვილი, ხვანაში მყვანდა ცოლი და შვილი, ვხნამდი, ვთესამდი, არ მქონდა დარდი, ახლა დავბერდი, დამიჭქნა ვარდი.</p>	<p>*** ხმალი დაჟანგდა გიგოსი, ამბარზე დაკიდებული, პირი დაწლუნგდა უქმობით, ქვეყნისთვის დაფიქრებული.</p>	<p>*** ჰაი, ვიდი გოგიაშვილო, მფრინავო ცხენითაო, აგილესია ფარ-ხმალი, მტერს თიბამ, ცელივითაო, შენგან ნახოცი თათრები ძირს ჰყრიან თავთავითაო.</p>	<p>*** ამბობენ, ახალციხესა იყრება დიდი ლამქარი, მხოლოდ ვაჟკაცებს არჩევენ, ყველა საომრად მზად არი.</p>
<p>*** ჩვენი სოფელი ვაჟკაცნი ომშიგან ნიაჭ-ქრიანო, მოლაღატეს და ორგულსა ლელე-ლეღესა ჰყრიანო.</p>	<p>*** ცოლი მამიკვდა, გამექცა შვილი, წუთისოფელმან მამკერძა ჭირი,</p>	<p>*** გალეულიყო ხმლის ვადაც, სულ უნავით გაყვითლებული, ესიზმრებოდა ომებში ლამქარი გამარჯვებული.</p>	<p>*** გულს ნუ გაიტყებთ ხვანელნო, ვიშვით რა იქნებაო, ერთს მოგაკლამენ თათრები, სხვაც ბევრი გაიზრდებაო.</p>	<p>*** *ტახარბური – საცერის სახეობაა, ეს სიტყვა გამოიყენება სოფელ არალსა და უდემი (ადიგენის რაიონი).</p>
<p>*** მწყემსმა თქვა: კაცი მეც ვიყავ, ცხვარი ჩემთვის დავირჩიე და ბუხართან გდებანოლას, თოფ-ნაბადი ავირჩიე.</p>	<p>*** არვის ვუნდევარ, არც მტერს, მოყვარეს, ამისთვის ვგლოვობ, ამისთვის ვტირო.</p>	<p>*** ეხ, ეს რა გვიქნა ანტონამ, გამოგვაცალა ძალაო,</p>	<p>*** მთქმელი <b>სიმონ კახაბაძე, 78 წლის, ჩაიწერა 2016 წელს სოსო ბიომოვილის მიერ</b></p>	

## ნიუი ჰეროდის გმირობა

ანყურთან მდგომმა მეფე ერეკლემ ჯავახელი გლეხებისგან შეიტყო, რომ ახალციხის ფაშას ბრძანებით ანყურის ციხის მისამხრებლად ახალქალაქისა და ხერეთის მცხოვრებლები უკვე წამოსულიყვნენ. მეფე ერეკლეს განკარგულებით ქართველთა ლაშქარი ასპინძის მიმართულებით დაიძრა. ერთ-ერთი ადგილობრივის გადმოცემით, სოფელ კოთელიის (ახალქალაქის რაიონი) მკვიდრ ნიკოლოზ ბერიძეს (ეგრისელს) შეუტყვია თუ არა რუს-ქართველთა ჯარის მოსვლა ანყურში, ჭერულისა და თისელის მთების ძნელად მისასვლელი ბილიკებით სასწრაფოდ ანყურში ჩასულა და მეფე ერეკლესთან გამოცხადებულა. მეფისათვის მოუხსენებია, რომ ახალქალაქისა და ხერეთის მცხოვრებლები ანყურში წამოსულან ერეკლეს წინააღმდეგ. იმავე ნ.ბერიძეს

უკისრი ქართველთა ლაშქრის მეგზურობა ანყურიდან ასპინძამდე. მას ისე სწრაფად და კარგად უტარებია ერეკლეს ლაშქარი, რომ ახალქალაქ-ხერეთის მცხოვრებლებისთვის დაუსწრიათ, სანამ ისინი ახალციხის ფაშას ჯარებს შეუერთდებოდნენ. მტრისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ნ.ბერიძის მეგზურობის ამბავი და ახალციხის ფაშას სპეციალური საიდუმლო ბრძანება გაუცია, რათა ცოცხლად შეეპყროთ ქართველთა ჯარის მეგზური და მასთან მიეყვანათ. ვინც ამ დავალებას შეასრულებდა, გასამსჯელოდ დიდ ჯილდოს პირდებოდა ოქროს სახით. თურქებმა მართლაც შესძლეს ფაშას ბრძანების შესრულება. ვერაგულად შეიპყრეს მოხუცი ნიკო ბერიძე და საშინელი წამებით მოკვებით თავი. მისი მოკვეთილი თავი მარგოზე ჩამოაცვეს

და მცველებიც მიუჩინეს, მაგრამ ქართველმა პატრიოტებმა მცველები შეიპყრეს, ხოლო ნიკოლოზ ბერიძის ცხედარი პატივით მიაბარეს მინას როკეთის (ელიზის) ტბის პირას, რომელი გზითაც მან ქართველთა ჯარი ანყურიდან ასპინძაში გადაიყვანა. ახლაც არის ელიზის გზის ნაპირზე დიდი ლოდი, რომელსაც „გზორის ყორღანს“, – „ოზოლ საფლავს“ ეძახიან. ძველად, თურმე, სოფელ კოთელიიდან ყოველწლიურად და გვიან შემოდგომით მიდიოდნენ ამ საფლავთან და პარაკლის უზღიდნენ ნ.ბერიძეს. ჩავგანწინა ნ.ბერიძის მეექვსე თაობის ჩამომავალმა სერგო ბერიძემ 1965 წელს. სერგო ხოსთაშვილი, „ბრძოლა მესხეთის საქართველოსთან შემოერთებისთვის 15-18 სს.-ში“ (სადასრული ნაშრომი, გვ.159)



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია **ლიანა მანჩხაშვილი**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: [www.scribd.com](http://www.scribd.com); facebook: ლიტერატურული მესხეთი

ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე

**ლაგოქანაზი:** სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit\_meskheta@yahoo.com

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარს“ სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32